ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

**გიორგი ანდრიაძე: „დეკანოზი გიორგი მამალაძე არც პატრიარქს კლავდა და არც შორენა თეთრუაშვილს“**



გვ.5

**29 ივნისიდან**

ონორე დე ბალზაკი

**ოცდაათი წლის ქალი**

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი



სამშაბათი, 4 ივლისი, 2017 №156 (7391) ფასი: 50 თეთრი

# ალეკო ელისაშვილი: „ელიავას ბაზრობაზე ხანძრის ხელოვნურად გაჩენის ეჭვს საფუძველი აქვს“



გვ.3



სად უნდა გადასულიყო ბაზარი გენგეგმით და რატომ ეწინააღმდეგებიან მას მესაკუთრეები

## ელიავას ბაზრობაზე 15-მდე მაღაზიაა დამწვარი



**ზაქარია ქუცნაშვილი: „მაჟორიტარული სისტემის დატოვება ხალხმა გვთხოვა“**



გვ.2

„ირაკლი კობახიძე თავის განცხადებებზე პასუხს თავად აგებს“



## „ივანიშვილი პინგვინს უფრო დიდ პატივს სცემს, ვიდრე მთელ „ქართულ ოცნებას“



გვ.4

ბეჟან ნათელაშვილი: „მარგველაშვილი გაპლასტინილებული „ოცნების“ ფონზე ფოლადივით გამოიყურება“



**ავთანდილ დემეტრაშვილი: „ირაკლი კობახიძე კონსტიტუციის პროექტში ცვლილებებს შეიტანს“**



გვ.2

**კახა მიქაია: „ოცნებას“ და ნაციონალებს ერთმანეთისგან ვეღარ ვარჩევ“**



გვ.5

„ზუგდიდის გამგეობის ქმედება პოლიტიკური მასტურბაცია ვუწოდე“

**ანა დოლიძე: „ვეტოსთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციების არგუმენტები საკმაოდ დამაჯერებელია“**



გვ.3

## „თქვენთან ვარ“... ბატონო ზურაბ!





გვ.6

ISSN 1987-9385

# ზაქარია ქუცნაშვილი: „მაჟორიტარული სისტემის დატოვება ხალხმა გვთხოვა“

## „ირაკლი კობახიძე თავის განცხადებებზე პასუხს თავად აგებს“

ნონა ცაბაძე

მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს დეპუტატი **ზაქარია ქუცნაშვილი** პასუხობს.

***— ბატონო ზაქარია, ბუკიკიომ დაგიბარათ, რომ კონსტიტუციასთან დაკავშირებით უნდა მიაღწიოთ კონსენსუსს. რამდენად არის ცვლილებების შეტანა შესაძლებელი ორი მოსმენით მიღებულ კონსტიტუციაში?***

— ეს დამოკიდებულია მონაწილე მხარეების პოზიციებზე. სამწუხაროდ, ოპოზიცია მთელი ეს პერიოდი მხოლოდ პროცესის პედალირებით იყო დაინტერესებული, რომ ხელში ჩაეგდო მონოპოლია არჩევნების სისტემაზე. მათ უნდათ, რომ მხოლოდ პარტიებს ჰქონდეთ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება, ხოლო მოქალაქეებს ჩამოერთვათ. ისინი მხოლოდ ამ საკითხით არიან დაინტერესებულნი.

***— ყველაზე მეტად აღელვებს ოპოზიციას ამ შერეული სისტემის გაუქმება და პროპორციულზე გადასვლა. ამ კუთხით არაფრის შეცვლას არ გეგმავთ?***



— უკვე გითხარით, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პოზიციები აქვთ მხარეებს. მათი სურვილია, რომ მოქალაქეს ჩამოერთვას უფლება და ეს ჰქონდეთ მხოლოდ პარტიებს. დღეს არავინ არ სვამს საკითხს იმის თაობაზე, პრეზიდენტი რატომ ირჩევა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით?! თუ პრეზიდენტის არჩევა შეიძლება მაჟორიტარული სისტემით, ხალხის წარმომადგენლების არჩევა რატომ არ შეიძლება?!

***— ანუ ოპოზიცია და ხელისუფლება ამ საკითხზე ვერ შეთანხმდებიან?***

— ის გადაწყვეტილება, რაც მიღებულ იქნა, იყო კომპრომისის ნაყოფი. იმ კომპრომისის, რომელიც შედგა ხალხის წარმომადგენლებსა და ხალხს შორის. მე უამრავ შეხვედრას ვესწრებოდი საჯარო განხილვების და ხალხი წინააღმდეგია მაჟორიტარული სისტემის გაუქმების. მათ იციან დღეს, ვის მოსთხოვონ პასუხი, ვის წინაშეა პასუხისმგებელი არჩეული დეპუტატი. პროპორციულის შემთხვევაში, დემოკრატია ამომრჩეველთა უფლებების კუთხით, თვისობრივად სუსტდება.

***— მაშინ თავიდანვე რატომ საუბრობდით, რომ გადადიოდით პროპორციულ სისტემაზე? ან კობახიძემ რატომ დადო პირობა, თუ არ გაუქმდებოდა შერეული სისტემა, ის გადადგებოდა?***

— ეს უკვე ბატონ ირაკლი კობახიძეს უნდა ჰკითხოთ. მან რა განცხადება გააკეთა, ამაზე პასუხს თავად აგებს.

***— ითქვა ისიც, რომ მაჟორიტარები შანტაჟზე წავიდნენ. ასე იყო?***

— მაჟორიტარი დეპუტატები ხალხის არჩეულები არიან და ხალხი სთხოვდა, რომ არ გააუქმოთ პირდაპირ ანგარიშვალდებული საარჩევნო სისტემა, არ გაყიდოთ ქართული მიწები, არ დაუშვათ ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზება! ეს იყო ხალხის მოთხოვნები, რაც ყველა შეხვედრაზე ერთნაირად ისმოდა.

***— თქვენც საბაბი გქონდათ და ამას აჟღერებდით პარლამენტში?***

— პარლამენტშიც ვაჟღერებდით და ყველა საჯარო შეხვედრისას.



***— თავდაპირველად ბუკიკიომ განაცხადა, იმედგაცრუებული ვარო. საბოლოოდ როგორი განწყობით გაუშვით საქართველოდან?***

— მე მგონი, კარგი განწყობით წავიდა ბატონი ჯანი.

***— რა იქნება მესამე მოსმენის პირობებში? შევა სერიოზული ცვლილებები თუ მხოლოდ სარედაქციო კორექტივებით შემოიფარგლებით?***

— ვნახოთ. არ გავასწროთ მოვლენებს წინ. ჯერ ლამაზი ზაფხულია და მერე მოვა ბარაქიანი შემოდგომა..

***— ანუ არ არის გამორიცხული ცვლილებები?***

— გამორიცხული ჩვენს ცვალებად მსოფლიოში არაფერია. ამერიკამ უარი თქვა ემიგრანტების მიღებაზე და საქართველოში რაღა უნდა იყოს გასაკვირი?!

***— პოლიტიკურმა პარტიებმა წინასაარჩევნო კამპანია დაიწყეს, როგორ აფასებთ მერობის კანდიდატების შანსებს და რას ელოდებით?***

— სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, „ქართულ ოცნებას“ დღეს დამმარცხებელი ოპონენტი არ ჰყავს და ეს არის ის რეალობა, რომელშიც მოგვიწევს არჩევნების ჩატარება. არჩევნები კონკურენტულ გარემოში წარიმართება. იქნება შეჯიბრი, მაგრამ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, დღეს ჩვენ კონკურენტი არა გვყავს.

***— რას იტყვით ბიძინა ივანიშვილის პასიურობაზე? იყო მოლოდინი, რომ ის აუცილებლად გამოჩნდებოდა კალაძის წარდგენისას. თუმცა ეს მოლოდინი არ გამართლდა. მთლიანად ჩამოშორდა ივანიშვილი პროცესებს?***

— ბატონმა ბიძინამ, ყველამ იცით, რაც გააკეთა. შექმნა საოცარი მაგალითი იმისა, რომ პოლიტიკიდან წავიდა ერთწლიანი საჯარო მოღვაწეობის შემდეგ. მან ეს პირობა შეასრულა.

***— ამის მიუხედავად, ის ყველა არჩევნებზე აქტიურობდა. გვერდით ედგა მარგველაშვილს, ნარმანიას... ჩანდა ყველა არჩევნებზე. ახლა არ ჩანს. რატომ?***

— როცა პრეზიდენტს დაუდგა გვერდით, მაშინ პრემიერი იყო და პარტიის თავმჯდომარე და დღეს არც პრემიერ-მინისტრია და არც პარტიის თავმჯდომარე.

***— ამ ლოგიკით არც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს იყო პრემიერ-მინისტრი და პარტიის თავმჯდომარე, მაგრამ საკმაოდ აქტიურობდა.***

— 2016 წელს, როგორც პარტიის დამფუძნებელი და საქართველოს მოქალაქე, გამოხატავდა საჯარო ინტერვიუების ჩატარების გზით მხარდაჭერას, თორემ რომელიმე წინასაარჩევნო შეხვედრაში მან მიიღო მონაწილეობა?!

# ავთანდილ დემეტრაშვილი: „ირაკლი კობახიძე კონსტიტუციის პროექტში ცვლილებებს შეიტანს“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი **ავთანდილ დემეტრაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს, თუ როგორ არის სამართლებრივად შესაძლებელი ორი მოსმენით მიღებულ კონსტიტუციის პროექტში ცვლილებების შეტანა.

***— ბატონო ავთანდილ, რამდენად არის მოსალოდნელი, რომ კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით მმართველმა პარტიამ პოზიციები შეცვალოს?***

— ორიგინალური პროცესი მიმდინარეობს. ვენეციის კომისია და მისი ხელმძღვანელი არ არის სადამსჯელო ორგანო. მას მხოლოდ რეკომენდაციები შეუძლია გასწიოს. უმრავლესობის დეპუტატმა კიდეც უპასუხა ბუკიკიოს, ჩვენ ხალხის მიერ ვართ არჩეული და შეგვიძლია ეს რეკომენდაცია გავითვალისწინოთ ან არ გავითვალისწინოთო. თუმცა, ყველას კარგად ახსოვს, რა განცხადებაც გააკეთეს ირაკლი კობახიძემ და მისმა მოადგილემ თამარ ჩუგოშვილმა, რომ ვენეციის კომისიის ყველა შენიშვნას გაითვალისწინებდნენ. ეს იყო დაუფიქრებელი განცხადება.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ეს იყო პოლიტიკური განცხადება, რომელმაც არ გაამართლა. არ იყო მიზანშეწონილი ასეთი ფიცის დადება. ჯანი ბუკიკიომ განაცხადა, გაოცებული ვარ იმით, რომ არის ქვეყანა, რომელიც მზად არის, ჩვენი ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინოსო. ასეთი რამ არ ხდება, მე ვიყავი 7 წელი ვენეციის კომისიის წევრი და არ მახსოვს ქვეყანა, რომელსაც მსგავსი განცხადება გაეკეთებინოს.

ასეთი განცხადება ირაკლი კობახიძეს არ უნდა გაეკეთებინა, ის არის კარგი კონსტიტუციონალისტი, მაგრამ გამოუცდელი პოლიტიკოსია და ეს ამ განცხადებაშიც გამოჩნდა.

***— პოზიციები უნდა შეეჯერებინა ჯერ გუნდში?***

— რა თქმა უნდა. მოვლენების ასე განვითარებას არ ელოდა კობახიძე, თორემ ამ განცხადებას არ გააკეთებდა. პარლამენტმა ორი მოსმენით ის ტექსტი მიიღო, რომელიც არსებითად განსხვავდება იმ პროექტისგან, რომელიც საკონსტიტუციო კომისიამ შეადგინა. პოლიტიკური კონსენსუსი, რომელიც მიღწეული იყო კომისიაში, სრულად იქნა უგულებელყოფილი. საკონსტიტუციო კომისიამ, რომელიც ფართო შემადგენლობის იყო, მიიღო გარკვეული პროექტი, მაგრამ პარლამენტმა მისი სრული იგნორირება მოახდინა. კომიტეტების თავმჯდომარეები, რომლებმაც კომისიის პროექტი შეცვალეს, ამ კომისიის წევრები იყვნენ.

***— მაჟორიტარები ვერ დავიყოლიეთო, გუნდში გვაქვს შეუთავსებლობაო.***



— ვერ დავიფიცებ, რომ ეს სიმართლეა. თუმცა, ვერც უარვყოფ. ასეა თუ ისე, მიღებულ იქნა ერთპარტიული კონსტიტუცია, როგორც ჯანი ბუკიკიომ განაცხადა. ეს არის კონსტიტუცია, რომლითაც ერთი პარტია დომინანტური როლის შენარჩუნებას ცდილობს 2020 წლის არჩევნებისთვის.

***— თუ დათმობაზე წავიდა „ქართული ოცნება“, ტექნიკურად როგორ არის შესაძლებელი ორი მოსმენით მიღებულ პროექტში შესწორებების შეტანა?***

— სამართლებრივად ეს შეუძლებელია. რეგლამენტის მიხედვით, მეორე მოსმენით მიღებულ ტექსტში მხოლოდ რედაქციული ხასიათის შესწორებების შეტანა შეიძლება. მესამე მოსმენის დროს შეიძლება ან მთლიანად იყოს ტექსტი მიღებული ან უარყო, ჩააგდო.

***— გამორიცხავთ ცვლილებებს?***

— არ გამოვრიცხავ, რადგან „ქართული ოცნება“ იძულებული გახდება, რომ კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებები შეიტანოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ტექსტი ორი მოსმენით უკვე მიღებულია და ეს თითქმის შეუძლებელია.

***— თუ ასეა, როგორ შეიძლება ეს ცვლილებები განხორციელდეს?***

— ამისთვის რამდენიმე გზა არსებობს. მაგალითად, მმართველ გუნდს შეუძლია, მეორე მოსმენა გაიმეოროს.

***— ხელახლა დადგეს საკითხი მეორე მოსმენისთვის?***

— დიახ, სწორედ ასეა. თუმცა, არსებობს უფრო მარტივი, მაგრამ უფრო ხანგრძლივი პროცედურაც: პარლამენტის უმრავლესობამ პარლამენტში უნდა შეიტანოს კონსტიტუციური კანონის პროექტი, პროექტში ცვლილებების შეტანის თაობაზე და პარლამენტს შესთავაზოს ის ცვლილებები, რომლებიც იქნება მიღებული. ამ პროცედურის ხანგრძლივობა გამოიხატება იმაში, რომ ეს პროექტი ერთთვიანი განხილვის შემდეგ პირველი მოსმენითაც უნდა იყოს მიღებული, მეორე მოსმენითაც და მესამე მოსმენითაც. სწორედ ამ გზით შევა შესწორებები იმ პროექტში, რომელიც იქნება მიღებული სექტემბერში. ეს ბევრად უფრო ხანგრძლივი პროცედურაა, მაგრამ სამართლებრივად აბსოლუტურად გამართულია.

***— რამდენად არის მოსალოდნელი, ევროსაბჭოში კრიტიკა დაიმსახუროს ამ პროექტმა?***

— ვენეციის კომისია ევროსაბჭოს საკონსულტაციო ორგანო გახლავთ, ეს არ არის ცალკე, იზოლირებულად მდგომი ორგანო. მისი გავლენა ევროპულ ორგანიზაციებზე ძალიან დიდია. ევროსაბჭოში დაგეგმილია ვენეციის კომისიის ამ დასკვნის მოსმენა და მას საქართველოს დელეგაციაც დაესწრება ირაკლი კობახიძის ხელმძღვანელობით. დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ამ ფორმატში მოხდება ევროპელების ჩართვა პროცესში და თხოვნა, რომ საქართველომ არ გადაუხვიოს აღებულ კურსს და არ მიიღოს ერთპარტიული კონსტიტუცია. როგორი იქნება ამ თხოვნაზე ხელისუფლების რეაქცია, ეს უკვე ქვეყნის შიგნით ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული.

***— მაინც რაზე?***

— პოლიტიკურ პროცესებზე. მაქვს ინფორმაცია, რომ ირაკლი კობახიძის პოზიციაა, რომ არ არის გამორიცხული, უკვე მიღებულ პროექტში ცვლილებები შევიდეს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ალეკო ელისაშვილი: „ელიავას ბაზრობაზე ხანძრის ხელოვნურად გაჩენის ეჭვს საფუძველი აქვს“

ნონა ცაბაძე

საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი „ახალ თაობასთან“ საუბარში ელიავას ბაზრობაზე მომხდარ ხანძარს. ეხმაურება.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ 2 ივლისის ღამით ელიავას ბაზრობაზე 14-მდე მაღაზია მთლიანად დაიწვა. იყვნენ დაშავებულებიც. მოვაჭრეებს ეჭვი აქვთ, რომ ხანძარი ვიღაცამ გააჩინა.

**ალეკო ელისაშვილი:**

– დიდი ტერიტორია დაიწვა, დაახლოებით 2.500 კვადრატული მეტრი. მე რაც ჩემი თვალით ვნახე, შემიძლია ის გითხრათ, რომ ადამიანები იყვნენ აბსოლუტურად სასოწარკვეთილები, ვისაც სავაჭრო ჯიხურები ჰქონდათ, ვისაც ქონება გაუნადგურდათ. ეს ხალხი მძიმე დღეშია, აქვთ ვალები, კრედიტები და მათ იმედი არ აქვთ, რომ ვინმე ამ დანაკარგს აუნაზღაურებს.

***– მომხდარი კითხვის ნიშნებს აჩენს?***

– საეჭვო არის. ისე, ზოგადად მე არ ვარ ეჭვიანი ადამიანი და მირჩევნია, ყველას ვენდო, ვიდრე არ ვენდო. ეჭვის საფუძველი არის და ვნახოთ. თეორიულად, რასაკვირველია, შეიძლება, რომ იქ ხანძარი მართლაც გაჩნდა, აალებადი პროდუქციაა და იქიდან მოედო დანარჩენ მაღაზიებს.

***– მაშინ ეჭვს რა იწვევს?***

– იმის გამო, რომ არც ერთი ხანძარი მანამდე არც ერთ ბაზრობაზე გამოძიებული არ არის და პროკურატურას, რომელიც სულ ტყუილად არსებობს და რეალურად არანაირ საქმეს არ აკეთებს, არც ერთ კონკრეტულ შემთხვევაში დასკვნა არ დაუდია, რომ ან ასე იყო, ან ისე იყო. ამის გამო არის სერიოზული უნდობლობა და ამის გამო არის შიშები, რომ აქ რაღაცა ისე არ არის. მოდი და ნუ გექნება ეს ეჭვები.

***– წარსულზე რომ საუბრობთ, ბავშვთა სამყაროს დაწვის ფაქტსაც გულისხმობთ?***

– თუნდაც რა გამოიძიეს ბავშვთა სამყა-



როს დაწვის ფაქტზე?! იანვარში მოხდა ეს ამბავი, ნახევარი წელი გავიდა, რა გამოიძიეს. ხომ შეიძლება მართლა რაღაც აალდა, ვიღაცას რაღაც დარჩა ჩართული და ასე შემდეგ, მაგრამ რა დაუსრულებელი გახდა ეს გამოძიება! ამიტომ ჩნდება ეჭვები და კითხვის ნიშნები.

***– ელიავას ბაზრობის დაზარალებულები რას ამბობენ? აქვთ ეჭვის საფუძველი?***

– ეს ადამიანები არიან ძალიან გაღიზიანებულები, თავზარდაცემულები. იყო შევარდნის და შეჭრის მცდელობები და პოლიცია ძლივს აკავებდა. ამ შემთხვევაში პოლიცია სწორად იქცეოდა. ესენი კი იყვნენ სასოწარკვეთილები, მაგრამ არაფრით არ შეიძლებოდა, ხანძარში ვინმე შევარდნილიყო. ასე ქაოტურად ვერავის შეუშვებდნენ, ზოგი თუ თავისი საქონლის გადასარჩენად იბრძოდა, შეიძლება სხვას ხელს გამოეყოლებინა სხვისი ქონება. ზოგს გული მისდიოდა და ზოგსაც გულის შეტევა მოუვიდა.

***– ხელისუფლებას წინასაარჩევნოდ ნამდვილად არ აწყობს მსგავსი ინციდენტები, ამიტომ ამ შემთხვევაში ხელისუფლების ინტერესი ნაკლებად იკვეთება. რას იტყვით თქვენ?***

– მე ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ იქ ნარმანია მივიდა და იმან წაუკიდა ცეცხლი, ან ბიძინა ივანიშვილი და მუგუზალი შეაგდო, ცხადია, ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ ჩვენ რომ გვქონდეს წინა ხანძრები გამოძიებული, მაშინ ამდენი მით-



ქმა-მოთქმა და ჭორიც არ იქნებოდა. მაშინ მართლა ვიტყოდით, რომ მოდით დაველოდოთ გამოძიებას. უკვე სასაცილო გახდა ტერმინი – დაველოდოთ გამოძიებას. იმიტომ, რომ რას ველოდოთ უსასრულოდ, არაფერს?! ზრდილობის გულისთვის რაღაც მაინც თქვან!

***– ანუ სერიოზული უნდობლობაა?***

– ასეა. ცარიელ ადგილზე არც ნდობა ჩნდება და არც უნდობლობა. ერთსაც და მეორესაც აქვს თავისი საფუძვლები. თუ ადამიანი კეთილსინდისიერად ასრულებს თავის საქმეს, მის მიმართ არის ნდობა. ადამიანი თუ ცუცურაკობს, არაფერს აკეთებს და თვალში ნაცარს გაყრის, მის მიმართ არის უნდობლობა. ეს ძალიან მარტივი ამბავია.

პროკურატურა თვალებში ნაცარს გვაყრის! რისი გამოძიებაც არ უნდათ, იმას არ იძიებენ. თან გვეუბნებიან, გამოძიება მიმდინარეობსო. რით ვერ დასრულდა?! ყაზბეგის გამზირზე მოჭრეს ხეები, ერთი წელი გავიდა და დღეს არ გვეუბნებიან, ვინ მოჭრა ეს ხეები, ან რატომ მოჭრა?! ესეც ხანძარია? ვთქვათ, ხანძრის გამოძიება რთულია. პროკურატურაში იმიტომ იღებენ ამხელა ხელფასს, რომ რთული საქმეები უნდა გააკეთონ. ესენი კი არაფერს ამბობენ, შესაბამისად, არის უნდობლობა და ამ ახალ ხანძარზე ჩნდება ეჭვები. ხელისუფლებას აწყობდა, ან არ აწყობდა, ეს რთული სავარაუდოა. ხელისუფლებას ის უნდა აწყობდეს, რომ ინციდენტები იყოს გამოძიებული. მაგრამ იძიებენ?!

***– ასევე დიდი ამბავი ჰქონდა ოპოზიციას ნაზღაიძის ძმისთვის მიწის გადაცემის ფაქტზე, თუმცა აღნიშნულ საქმეზე სასამართლო წარმოება შეწყდა.***

– დიახ, ნაზღაიძის საქმე, ფარცხალაძის საქმე. რა, მან ნაკლები გააკეთა? მერიისგან იყიდა 200 ათასად მიწის ნაკვეთი და იგივე ნაკვეთი დაუბრუნა მილიონნახევრად, მილიონ სამასი ათასი კი ჩაიდო ჯიბეში! რა, ეს გამოსაძიებელი არ არის?! ან ვიღაცა სოსო გოგაშვილი რომ არის უშიშროების მინისტრის მოადგილე, ცოტა ხნის წინ სოციალურად დაუცველთა სიაში რომ იყო და დღეს ცოლისდების სახელზე 120 ჰექტარი მიწა, სახლები, აგარაკები და ჯიპები რომ ჰყავს გადაფორმებული, ეს ეჭვის საფუძველს არ აღძრავდა და ეს არ უნდა გამოეძიებინათ?!

***– მსგავსი ფაქტების შედეგად გაჩნდა უნდობლობა?***

– უნდობლობა ჩნდება ზუსტად ასეთი ნაბიჯების შემდეგ! სააკაშვილისადმი უნდობლობა გაჩნდა მას შემდეგ, რაც სანდრო გირგვლიანთან დაკავშირებით თვალში ნაცარს გვაყრიდნენ და გვეუბნებოდნენ, სანდრო გირგვლიანი თვითონ მიუხტა კუდის სპეცრაზმს, დაუწყო ლანძღვა-გინება, ცემა-ტყეპა და წაათრია ხუთი კაცი ოქროყანის სასაფლაოზე, ურტყა და მერე თავი მოიკლა. აი, ამას გვეუბნებოდა სააკაშვილი და ამისი არავის სჯეროდა, ყველამ იცოდა რომ ეს იყო ტყუილი და ამიტომ გაჩნდა სააკაშვილისადმი უნდობლობა!

***– ეს პარალელი ამ ხელისუფლებასთან რა შუაშია?***

– მსგავსი ისტორიები დაიწყო ამ ხელისუფლებამ და უკვე ღრმად შეტოპილია ამ ისტორიებში.








## ანა დოლიძე: „ვეტოსთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციების არგუმენტები საკმაოდ დამაფიქრებელია“



– „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციების არგუმენტები საკმაოდ დამაფიქრებელია, – ამის შესახებ ჟურნალისტებს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა ანა დოლიძემ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განუცხადა.

დოლიძეს არ დაუკონკრეტებია, გამოიყენებს თუ არა პრეზიდენტი ვეტოს უფლებას პარლამენტის მიერ მიღებულ კანონთან დაკავშირებით, რასაც მას არასამთავრობო სექტორი სთავაზობს, თუმცა, როგორც აღნიშნა, პრეზიდენტი შვიდი თვითმმართველი ქალაქისათვის სტატუსი ჩამორთმევის საკითხთან დაკავშირებით სკეპტიკურად იყო განწყობილი.

– არასამთავრობო ორგანიზაციებმა საკმაოდ დამაფიქრებელი არგუმენტები მოგვახსენეს. საყურადღებოა, რომ შვიდი თვითმმართველი ქალაქის გაუქმება ადგილობრივი არჩევნების წელს ხდება. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები ამბობენ, იყო დარღვევები ხალხთან კომუნიკაციის კუთხით. შესაბამისი ჩართულობა ამ ქალაქების მცხოვრებლებისა არ ყოფილა. ამავე დროს, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები ამბობენ, პარლამენტის მიერ მიღებულ დოკუმენტში სერიოზული შინაარსობრივი პრობლემებია. ჩვენ მათ დიდი გულისყურით მოვისმენთ, რადგან ეს ის ხალხია, ვინც აღნიშნული საკითხი ძალიან კარგად იცის, – განუცხადა ჟურნალისტებს ანა დოლიძემ.

არასამთავრობო სექტორი პრეზიდენტს სთხოვს, ვეტო დაადოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტს, რომლის მიხედვით შვიდი თვითმმართველი ქალაქი მუნიციპალურ თემებთან გაერთიანდა.

## სად უნდა გადასულიყო ბაზარი გენგეგმით და რატომ ეწინააღმდეგებიან მას მესაკუთრეები

ელიავას ბაზრობაში გაჩენილი ხანძრის გამომწვევ მიზეზებს გამოძიება სწავლობს. ამის პარალელურად კი ცნობილი ხდება, რომ თბილისის გენერალური გეგმის ავტორების პროექტით ბაზრობა ისანში, 2 ლოკაციაზე უნდა გადასულიყო.

გენერალური გეგმის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, რომელიც მერიას ჯერ ოფიციალურად არ დაუმტკიცებია, აგლაძის ქუჩაზე სარეკრეაციო ზოლი უნდა მოეწყოს.

– ჩვენ წინადადებას ვთავაზობთ, ჩვენ ვამბობთ, რომ ქალაქის განვითარებისთვის ეს არის კარგი და მისაღები, თუმცა, აქვე ვამბობთ, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე გადავიდეს ისნის მეტროსთან და სანზონის ტერიტორიაზე და



არა თბილისის ზღვაზე ან ქალაქგარეთ, – განაცხადა თბილისის განვითარების გენერალური გეგმის ავტორმა, მამუკა სალუქვაძემ.

მესაკუთრეებისთვის ელიავას ბაზრობის ტერიტორიის სარეკრეაციო ზონად გადაქცევა მიუღებელია, რადგან, როგორც ისინი ამბობენ, თბილისის მთავრობამ ბიუჯეტიდან უნდა დახარჯოს შესაბამისი თანხა. თავად მესაკუთრეები კი დედაქალაქის მთავრობას ამ ტერიტორიის კეთილმოწყობას და გარკვეულ ნაწილზე სარეკრეაციო ზონის მოწყობას საკუთარი სახსრებით სთავაზობენ.

ელიავას ბაზრობის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი თემურ ანდრიაძე აცხადებს, რომ გეგმის მიხედვით, მერიას დიდი რაოდენობით თანხის „ჰიპოტეთურ“ ბალში დახარჯვა მოუწევს და უმჯობესია მთავრობაში მეწილეების შეთავაზებას მოუსმინონ.

– ხედვა, რომელიც ეხება ელიავას ბაზრობის გადატანის საკითხს, აბსოლუტურად არასწორია და არ ვეთანხმები იმიტომ, რომ ელიავას ბაზრობაზე დასაქმებულია უამრავი, 15 ათასამდე თანამშრომელი და მილიონობით ლარი შედის ბიუჯეტში, – განაცხადა გია ანდრიაძემ.

## ელიავას ბაზრობაზე 15-მდე მაღაზიაა დამწვარი

– მე ამ ადამიანების გვერდით ვიქნები და სადაც, რა ინსტანციაზეც დასჭირდებათ მხარდაჭერა, იმ ინსტანციაზე გავუ-




კეთებ მხარდაჭერას, – აცხადებს დიდუბის რაიონის გამგებელი ე.წ. ელიავას ბაზრობაზე მომხდარი ხანძრის შედეგად დაზარალებულებზე საუბრისას:

– დაგეგმარება იქნება ყველაფერი ტყუილი თუ არ გვეცოდინება, რა ხდება შიგნით. შესაბამისად დაგეგმარება დაგეგმარებისთვის არის სისულელე. ამიტომ ჯერ გავარკვევთ რა ხდება. ყველა იმ ინსტანციაზე, სადაც საბანკო მიმართულებით იქნება ეს, მეპატრონესთან ურთიერთობა იქნება თუ ასე შემდეგ, მე ამ ადამიანების გვერდით ვიქნები და სადაც, რა ინსტანციაზეც დასჭირდებათ მხარდაჭერა, იმ ინსტანციაზე გავუკეთებ მხარდაჭერას, – განაცხადა დიდუბის რაიონის გამგებელმა ირმა ზავრადაშვილმა. მისივე ინფორმაციით, ტერიტორიაზე 15-მდე მაღაზიაა დამწვარი.

# „ივანიშვილი პინგვინს უფრო დიდ პატივს სცემს, ვიდრე მთელ „ქართულ ოცნებას“

## ბეჟან ნათელაშვილი: „მარგველაშვილი გაპლასტილინილებული „ოცნების“ ფონზე ფოლადივით გამოიყურება“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ წავიდა შალვა ნათელაშვილი ამერიკაში, როდის დაიწყებს აქციებს ოპოზიცია, რა ელოდება ივანიშვილის გარეშე დარჩენილ „ოცნებას“, რა არის ქართული პოლიტიკის მთავარი უბედურება? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის წევრი ბეჟან ნათელაშვილი ესაუბრება.

**ბეჟან ნათელაშვილი:**

– საქართველოს ცეცხლთაყვანისმცემელი ხელისუფლება ცეცხლთან თამაშს ცუდად დაასრულებს. ძალიანაც რომ არ მინდოდეს, ეჭვი მიჩნდება, რომ ამ ხანძრების უკან ხელისუფლება დგას. შეუძლებელია, 2012 წლიდან დღემდე ამდენი ბაზრობა დამწვარიყო.

ხელისუფლება ხანძრებს სხვა მიმართულებითაც აჩენს. საკვებ პროდუქტებს და წამლებს ცეცხლი უკიდია. ახლო მომავალში ისინი გაზსა და დენზე აპირებენ ფასების გაზრდას. ეს სერიოზულ უკმაყოფილებას გამოიწვევს. ხელისუფლება ცუდად ეთამაშება ცეცხლს და ერთხელაც იქნება, თავადაც დაიწვება.

***– გაზის ტარიფის გაზრდა დაანონსებულია, მაგრამ ამაზე ხმას არავინ იღებს. გაგებით ელოდება ხალხი უკვე ამ ყველაფერს?***

– ამას როგორ შეიძლება ხალხი გაგებით მოეკიდოს. დარწმუნებული ვარ, ამას დიდი საპროტესტო გამოსვლები მოჰყვება. ამის ორგანიზებას ხალხი თავად გააკეთებს. ოპოზიცია აუცილებლად დადგება მათ გვერდით. ჩვენი პარტია ამას პირველი გააპროტესტებს.

***– თქვენი პარტია ახსენეთ და რატომ წავიდა ამერიკაში თქვენი პარტიის ლიდერი?***

– ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ბატონ შალვას ამერიკაში იწვევენ. მას იქ ძალიან სერიოზული შეხვედრები აქვს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ის თავად გააკეთებს განცხადებას. ვფიქრობ, საზოგადოება მისგან სერიოზულ მესიჯებს მოისმენს.



***– საარჩევნოდ დავალებების მისაღებად წავიდა ნათელაშვილი ამერიკაში?***

– ბატონი შალვა სხვის დავალებებს არ ასრულებს. ის სერიოზული პოლიტიკური ძალის ლიდერია და ამიტომაც იწვევენ ამერიკაში. ამერიკელ კონგრესმენებთან შეხვედრაზე ის ალბათ მოახლოებულ არჩევნებზეც ისაუბრებდა. თუმცა, დაველოდოთ მის ჩამოსვლას. დეტალურ ინფორმაციას თავად მოგვაწვდის.

***– ადრე ამბობდნენ, რომ მას ამერიკაში ვიზიტების ორგანიზებაში სააკაშვილი და ნაციონალები ეხმარებოდნენ.***

– იმდენ რამეს გვაბრალებდნენ, ეს რა მოსატანია. ახლა ყველას 9 წელზე რომ აქვს პირი დაღებული, იმ სისხლიანი წლების დროს სად იყვნენ? სააკაშვილის რეჟიმს მხოლოდ ჩვენ ვაკრიტიკებდით. მაშინ პოლიტიკოსების ნახევარი შიშისგან იყო გატრუნული, მეორე ნახევარი კი ნაციონალებს აქებდა.

ყველა ხელისუფლება იმით ცოცხლობს, რომ ჩვენ დაგვაბრალოს რაღაცა. ჩვენი მისამართით პრეტენზიები ჰქონდა შევარდნაძის ხელისუფლებას. ნაციონალები ხან შევარდნაძესთან ალიანსში გვდებდნენ ბრალს, ხან რუსეთუმეობას გვაბრალებდნენ. მათ ივანიშვილთან კავშირშიც კი დაგვდეს ბრალი.

***– ივანიშვილთან ალიანსი როდისღა დაგაბრალეს?***

– ჯერ ივანიშვილი პოლიტიკურ ორბიტაზე რომ არ ჩანდა. წლების წინ ბატონმა შალვამ თქვა, რომ თუ პრეზიდენტი გავხდები, ივანიშვილს დავნიშნავ პრემიერადო. ამის შემდეგ გვაბრალებდნენ მასთან ალიანსს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ივანიშვილთან ალიანსის გამო ის ხალხი გვლანძღავდა, ვინც ახლა „ოცნების“ მამას უკმევს გუნდრუკს.

***– ისე, კარგა ხანია, რაც თქვენთვის ნაციონალების დაკვეთების შესრულება აღარ დაუბრალებიათ და მართლა ივანიშვილთან ხომ არ შეხვედით ალიანსში?***

– ასეთი ბრალდებები მართლა აღარ მოგვისმენია. ეტყობა, ამისთვის არ სცხელათ, ქვეყანა და პარტია თავზე ემხობათ. ანდა ნამუსმა შეაწუხათ – თავად ჩაეხუტნენ ნაციონალებს და სხვას ველარ აბრალებენ.

რაც შეეხება ივანიშვილთან ალიანსს, არც მასთან და არც სხვასთან ალიანსში შესვლას არ ვაპირებთ. ჩვენ ყოველგვარი ალიანსების და საარჩევნო ბლოკების წინააღმდეგი ვართ. ყველა პარტიამ დამოუკიდებლად უნდა მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა. ჩვენი პარტია დაარსების დღიდან სულ მარტო იბრძვის, ახლაც ასე გააგრძელებს.

***– მარტო ბრძოლას შედეგი რომ არ მოაქვს?***

– დღეს არ მოაქვს, ხვალ მოიტანს. შედეგი როგორ უნდა დაიდოს, როდესაც დრაკონული საარჩევნო კოდექსი გვაქვს. ამათ ნაციონალებზე უარესი კანონი მიიღეს. ამ კანონით, არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა წარმოუდგენელი ხდება. ამას დაუმატეთ ადმინისტრაციული რესურსი, რომელსაც „ოცნება“ წინა ხელისუფლებაზე ურცხვად იყენებს.

***– თქვენი საუბრიდან თუ ვიმსჯელებთ, ამ არჩევნებზე ოპოზიციას შანსი არა აქვს.***



– ხელისუფლება ამ არჩევნების მოგებას ალბათ შეძლებს. თუმცა თუ ოპოზიცია იაქტიურებს და მოწოდების სიმაღლეზე დადგება, ძალადობა და გაყალბება არ გაუვათ. ისეთი კანონი აქვთ მიღებული, გაყალბება დიდად არც დასჭირდებათ. არჩევნების მოგებას ხელისუფლება სოციალურად დაუცველების ხარჯზე შეეცდება.

საქართველოში ასეულობით ათასი სოციალურად დაუცველია. მათ ელემენტარულად პურის ფულიც კი არა აქვთ. ერთჯერადი ფულადი დახმარების სანაცვლოდ ისინი მისცემენ ხელისუფლებას ხმას. ამის გამო მათ არ ვაკრიტიკებ, როცა ადამიანს იმის ფული არა აქვს, რომ შვილს პური უყიდოს, მაღალ მატერიებზე არ უნდა ელაპარაკო. მე კარგად მესმის მათი, მაგრამ ერთ რჩევას მაინც მივცემ – მათ უნდა იცოდნენ, რომ პოლიტიკოსი, რომელიც მათ ხმებს ყიდულობს, ამ დახარჯულ თანხას ისევ მათგან ამოიღებს.

საქართველოში დიდი ხანია, პოლიტიკა ბიზნესად იქცა. აბა გადახედეთ პოლიტიკოსებს, რა ფუფუნებაში ცხოვრობენ. ივანიშვილი რომ ივანიშვილია, პოლიტიკაში ისიც კი ფულის საკეთებლად მოვიდა.

***– მას არც პოლიტიკაში მოსვლამდე აკლდა ფული.***

– ეტყობა, აკლდა და ამიტომაც მოვიდა პოლიტიკაში. ხალხს მისი მომხრეები უმტკიცებდნენ, რომ მილიარდერია და ჩვენს ფულს მაინც არ მოიპარავსო. მოსახლეობამ დაიჯერა და აირჩია. ახლა ყველა თავზედს იწყევლის და ერი ახალი მესიის მოლოდინშია.

***– ახალი მესია ჯერ არ ჩანს.***

– გამოჩნდება. დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის მანძილზე სულ მესიების მოლოდინში ვართ და ამიტომაც დაიქცა ეს ქვეყანა. დაიმახსოვრეთ, მალე ქართულ პოლიტიკაში ახალი მესია გამოჩნდება. ის ისევე მოულოდნელად გამოჩნდება, როგორც ივანიშვილი გამოჩნდა. ვიღაც აუცილებლად ეყოლებათ რეზერვში.

***– ვინ შეიძლება იყოს ახალი მესია?***

– ვერ გეტყვით. ვიღაც აუცილებლად გამოჩნდება. ივანიშვილი მესიობას ნამდვილად ვეღარ ქაჩავს. მგონი, თავადაც აღარ უნდა ეს ყველაფერი და პოლიტიკური რელსებიდან გადავიდა. ეს „ოცნებას“ დაასამარებს.

ყოფილი პრემიერი იყო „ოცნების“ ლოკომოტივი და მისი რელსებიდან გადასვლა კუკუშკა მეოცნებეებს აქეთ-იქეთ მიმოფანტავს. როგორც კი ეს მოხდება, ეს ხალხი მთავარი მეოცნებეს ლანძღვა-გინებას დაუწყებს. უპატრონოდ დარჩენილი მედროვე პოლიტიკოსები განსაკუთრებით საშიშები და აუტანლები არიან. ისინი თავიანთ ლიდერზე ძალიან გაბრაზებულები არიან და სამაგიეროს აუცილებლად გადაუხდიან.

***– რამ გააბრაზა?***

– ივანიშვილი ხვდება, რომ პოლიტიკური კარიერის დასასრულის დასაწყისი დაუდგა. საეჭვოდ გაიტრუნა და წასასვლელად საჭირო მომენტს ელოდება. მისმა გაუჩინარებამ ათასი ჭორ-მართალი გამოიწვია. ამ მეოცნებეთუხუცესმა ისიც არ გააკეთა, რომ გამოსულიყო და თავისიანები დაემშვიდებინა. ამით მან მეოცნებეების მიმართ უპატივცემულობა გამოიჩინა და დაამტკიცა, რომ პინგვინს უფრო დიდ პატივს სცემს, ვიდრე მთელ „ქართულ ოცნებას“.

***– იქნებ ასე იმიტომ იქცევა, რომ ეს ხალხი მობეზრდა? ისეთი გარემოცვა ჰყავს, შეუძლებელია, არ მობეზრებოდა.***

– მინდა იცოდეთ, რომ ეს ხალხი სულ მობეზრებული ჰყავდა. თავის გარშემო მხოლოდ იმიტომ შემოიკრიბა, რომ თავისი მიზნისთვის მიეღწია. ის მათზე და მთლიანად ქვეყანაზე ექსპერიმენტებს ატარებდა.

ამ ექსპერიმენტებმა დაარწმუნა, რომ პოლიტიკური ალღო არ უვარგა. ყველას ახსოვს, რა განცხადებებს აკეთებდა მარგველაშვილი პრეზიდენტად არჩევამდე. ის სახალხოდ აცხადებდა, პლასტელინივითა ვარ და ისეთ ფორმას მივიღებ, როგორც გადამზილავთო.

დრომ აჩვენა, რომ მთელ „ოცნებაში“ ის ყველაზე მყარი გამოდგა, დანარჩენები კი თავად გადაიზილნენ პლასტელინივით. დანარჩენი „ოცნების“ ფონზე მარგველაშვილი მართლა ფოლადივით გამოიყურება. მას კიდევ უფრო მეტი სიმყარე რომ გამოეჩინა, ქვეყნისთვის უკეთესი იქნებოდა.

მან საკუთარ თავს უშველა, მაგრამ საკითხავია, რას იზამენ ივანიშვილის მიერ მიტოვებული „ოცნების“ წევრები.

***– მაგათ იმდენი პატრონი გამოიცვალეს, ახლის მოძებნა არ გაუჭირდებათ. თან თქვენ თავად თქვით, რომ ახალი მესია გამოჩნდება და იმას მიესევიან.***

– მართლაც რომ მიესევიან. ჩვენი პოლიტიკის უბედურება სწორედ ისაა, რომ ეს ხალხი ვერ გავყარეთ პოლიტიკიდან. ეს ადამიანები 4 ხელისუფლებას მოერგნენ და კიდევ რამდენიმეს მოერგებიან.

***– ვისაც ერგებიან, იმას რაში სჭირდება ასეთი ხალხი?***

– ასეთი ხალხის მოძებნა იოლია? თავი დავანებოთ იმას, რომ პოლიტიკურ ველზე მედროვეები სხვას არ აჭაჭანებენ. ისინი გასვრილები არიან, გასვრილი ხალხი კი სამართავად ძალიან იოლია. სკამების შესანარჩუნებლად ყველაფერზე მოაწერენ ხელს. ვიდრე პოლიტიკა ასეთი ხალხისგან არ გასუფთავდება, ქვეყანა ფეხზე ვერ დადგება.

# „თბილისის მიკროავტობუსი“ მძღოლებს კატეგორიულად აფრთხილებს, ჩართონ კონდიცირება



„თბილისის მიკროავტობუსის“ განცხადებით, მიკროავტობუსების ავტოპარკის თითქმის მთლიან შემადგენლობაში კონდიცირების სისტემა მოწესრიგებულია და მძღოლები საზაფხულო საშელავათო სისტემით სარგებლობენ. ამის შესახებ ნათქვამია კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის“ საგანგებო განცხადებაში.

კომპანიის ინფორმაციით, ყველა მძღოლს მიეცა კატეგორიული მითითება, ავტოსატრანსპორტო საშუალებაში კონდიცირების სისტემა ჩართოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სატრანსპორტო კომპანია იძულებული იქნება, ურჩი მძღოლების მიმართ მკაცრი სანქციები გამოიყენოს.

**„ინტერპრესნიუსი“ კომპანიის განცხადების ტექსტს უცვლელად გთავაზობთ:**

– ჰაერის ტემპერატურის მატებასთან დაკავშირებით, კომპანიის მიერ ყველა მძღოლს მიეცა კატეგორიული მითითება, ავტოსატრანსპორტო საშუალებაში ჩართოს კონდიცირების სისტემა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სატრანსპორტო კომპანია იძულებული იქნება, გამოიყენოს მკაცრი სანქციები ურჩი მძღოლების მიმართ. ასევე, უმორჩილესად ვთხოვთ მომხმარებელს, ყველა ასეთი შემთხვევის შესახებ დატოვოს შეტყობინება ცხელი ხაზის ნომერზე 32-220-03-40. „თბილისის მიკროავტობუსი“ სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ავტოპარკის თითქმის მთლიან შემადგენლობაში კონდიცირების სისტემა მოწესრიგებულია და ასევე მძღოლები სარგებლობენ საზაფხულო საშელავათო სისტემით, რაც გაგრილების საშუალების ჩართვის შედეგად საწვავის მატების ხარჯს მთლიანად ფარავს. ამასთან, მძღოლების ის ნაწილი, რომელთა მიმართებაშიც ცხელი დღეების განმავლობაში არ დაფიქსირდება პრეტენზია მონიტორინგის სამსახურში, დამატებით იქნებიან კომპანიის მიერ წახალისებულნი და არ გადაიხდიან იმ დღის გეგმურ გადასახადს კომპანიაში.

# ფიქრია ჩიხრაძე: „საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების პროცესი უნდა გაჩერდეს“



პრეზიდენტის მრჩეველი საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების პროცესის გაჩერების აუცილებლობაზე საუბრობს. ფიქრია ჩიხრაძის განცხადებით, რეალობა, რომელიც ვენეციის კომისიის პრეზიდენტის განცხადების შემდეგ შეიქმნა, აჩენს იმის მოლოდინს, რომ პროცესი უნდა გაჩერდეს.

– ბუნებრივია, ხელისუფლებამ უნდა გადადგას ნაბიჯები იმისთვის, რომ შექმნილ ვითარებაში დიალოგისთვის და კონსენსუსისთვის ახალი შესაძლებლობები გავაჩინოთ. ეს ყველაფერი უნდა ემსახურებოდეს იმ მიზანს, რომ მივიღოთ ბევრად უკეთესი კონსტიტუცია, რომელიც მისაღები იქნება ქართველი საზოგადოებისთვის, – აღნიშნა ფიქრია ჩიხრაძემ.

# სოფო ჯაფარიძემ პრემიერ-მინისტრის მრჩევლის თანამდებობა დატოვა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა სოფო ჯაფარიძემ თანამდებობა დატოვა, – ამის შესახებ ჯაფარიძე სოციალურ ქსელში წერს. ჯაფარიძე მიზეზად ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატობას ასახელებს.

– მინდა გაცნობოთ, რომ გადავწყვიტე, დავტოვო დაკავებული თანამდებობა. ერთადერთი მიზეზი გახლავთ ის, რომ წინ დიდი გამოწვევა მელოდება, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატის ამპლუაში გასაუბრების სახით და ვფიქრობ, მჭირდება მაქსიმალური კონცენტრაცია ამ მიმართულებით. იმედი მაქვს, გაგებით მოეკიდებით ჩემს გადაწყვეტილებას და წარმატებას მისურვებთ ამ უაღრესად მნიშვნელოვან ეტაპზე ჩემს ცხოვრებაში. ჩემთვის დიდი პატივი იყო, მემუშავა საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწედ ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში და ჩემი მცირედი წვლილი შემეტანა ამ მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობაში. დიდი მადლობა მხარდაჭერისა და თანამშრომლობისათვის, – წერს ჯაფარიძე.

# კახა მიქაია: „ოცნებას“ და ნაციონალებს ერთმანეთისგან ველარ ვარჩევ“

## „ზუგდიდის გამგეობის ქმედებას პოლიტიკური მასტურბაცია ვუწოდე“

შორენა მარსაგიშვილი

რა ხდება სამეგრელოში, რატომ არა აქვს აზრი ქუჩის აქციებს, რა სისულელე გააკეთა ზუგდიდის გამგეობამ? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი **კახა მიქაია** ესაუბრება.

***– რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში გავრცელდა სურათები, სადაც ჩანს, რომ ზუგდიდის გამგეობის თანამშრომლები კოლექტიურად მონაწილეობენ გამოკითხვაში, რომელიც თბილისის მერობის კანდიდატებთან დაკავშირებით ტარდებოდა და ისინი ხმას კახა კალაძეს აძლევდნენ. ეს მართლა ასე მოხდა თუ ოპოზიციის ბოროტი ხუმრობაა?***

– ეს მეც ხუმრობა მეგონებოდა, მაგრამ ეს ფოტომასალა ზუგდიდის გამგეობის საიტზე იყო განთავსებული. ამ ყველაფერს თავად გადაუღეს ფოტოები და თავად განათავსეს სოციალურ ქსელში. ამის გარდა, ეს ფოტოები გამგეობის წევრებმა ფეისბუქის საკუთარ გვერდებზეც განათავსეს.

***– რატომ გააკეთეს ასეთი რაღაცა, ვერ მიხვდნენ, ამას რა მოჰყვებოდა?***

– ეგონათ, რომ მაგარი რაღაცა გააკეთეს. როგორი ბრიყვი უნდა იყო, რომ ვერ მიხვდე, რამხელა სისულელეს აკეთებ. ფეისბუქიდან ეს ფოტომასალა მას შემდეგ გააქრეს, რაც ოპოზიციამ ერთი ამბავი ატეხა.

ამ უმსგავსობას და სიბრიყვეს მაშინვე გამოვეხმაურე და ზუგდიდის გამგეობის ქმედებას პოლიტიკური მასტურბაცია ვუწოდე. ხელისუფლება მართლა ამით არის დაკავებული. ახლაც კი მიჭირს იმის დაჯერება, რომ ამ კოლექტიურ დალაიქებას თავად გადაუღეს ფოტოები.

ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქვეყანა ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. ან კარგად როგორ იქნება, როცა მისი ხელისუფლება ერთმანეთისგან კარგსა და ცუდს ვერ არჩევს. ასეთ ხელისუფლებას მე პოლიტიკურ მასტურბანტს ვუწოდებ. აღნიშნული შეფასება თუ ვინმეს ეწყინება, შეუძლია ცივი წყალი დალიოს.



***– წლების წინ, არჩევნების წინა პერიოდში, სამეგრელოს რეგიონში პოლიტიკური ტემპერატურა ძალიან მაღალი იყო. მოსახლეობაც აქტიურობდა და ადგილობრივი ოპოზიციაც. ახლა ამ მხრივ სიმშვიდეა, ხალხი კმაყოფილია თუ რა ხდება?***

– როგორ შეიძლება, დღეს ხალხი სადმე კმაყოფილი იყოს. დუმილს კი თავისი მიზეზები აქვს. სამეგრელო არც სააკაშვილის სისხლიანი მმართველობის წლებში ხმაურობდა. დუმდა ადგილობრივი ოპოზიციაც.

***– ასეთი მდუმარება მაშინ არ ყოფილა. თქვენ ძალიან აქტიურობდით და ახალაიების მამას, როლანდს, ზუგდიდში ბიუსტიც დაუდგით.***

– მე ვხმაურობდი და კიდევ რამდენიმე კაცი, მაგრამ ეს არ იყო მძლავრი პროტესტი. რაც შეეხება დღევანდელობას, რეგიონში არის მძიმე ვითარება. კორუფცია და ნეპოტიზმი არის უმაღლეს დონეზე. იმაზე აღარ ვილაპარაკებ, როგორ ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები. არსებულ ვითარებას სულ რამდენიმე ადამიანი აპროტესტებს. ეს, ბუნებრივია, რომ შეუმჩნეველი რჩება.



ზვიად გამსახურდიას დამხობის შემდეგ, სამეგრელოში ძალიან მძიმე მოვლენები განვითარდა. სამოქალაქო ომი, შეიარაღებული ფორმირებების თარეში.... მოსახლეობამ დიდი უბედურება გადაიტანა და წლების განმავლობაში სერიოზული წნეხის ქვეშ იმყოფებოდა. ამან თავისი დაღი დაასვა რეგიონს – სამეგრელო პოლიტიკური რუკიდან გაქრა. ჩემთვის ამის თქმა ძალიან მძიმეა. მაგრამ ესაა სიმართლე.

ძალიან მიჭირდა და ახლაც ძალიან მიჭირს პირში წყალჩაგუბებული საქართველოს ყურება, რომელიც ნეპოტიზმს და უმეცრებას ეგუება. რაღაც არაორდინარული უნდა მოხდეს, რომ სამეგრელომ საკუთარი ფუნქცია დაიბრუნოს.

***– რაღაც არაორდინარულში რას გულისხმობთ?***

– ცუდი რამისგან ღმერთმა დაგვიფაროს. რაღაც ისეთი უნდა მოხდეს, რომ სამეგრელომაც იგრძნოს თავის საჭიროება.

***– თქვენ თქვით, სამეგრელო სამოქალაქო ომის შემდეგ პოლიტიკური რუკიდან გაქრაო. არადა ვარდების რევოლუციაში ყველაზე აქტიური ეს რეგიონი იყო.***

– მაშინ სამეგრელო მიშა სააკაშვილს თბილისში ერთი მიზეზით გაჰყვა. მან მეგრელებს ასეთი რამე უთხრა, ზვიად გამსახურდია, რომლის იდეებისთვისაც ასე იბრძოდით და რომელიც შევარდნაძემ დაამხო, იმ შევარდნაძის წინააღმდეგ ვიწყებ ბრძოლას. ეს იყო მიზეზი, რატომაც მიიღო ჩემმა კუთხემ ვარდების რევოლუციაში მონაწილეობა. ჩემი სამეგრელო 2003 წელს თბილისში შევარდნაძეზე შურის საძიებლად წავიდა.

ვარდების რევოლუცია სააკაშვილის გამარჯვებით დასრულდა. ამ გამარჯვების შემდეგ მან საშინელება დამართა ჩემს რეგიონს. ამიტომაა ძალიან მძიმე მდგომარეობაში სამეგრელო. რაღაცა აუცილებლად შეიცვლება, მაგრამ მარტო სამეგრელო ვერაფერს გახდება. პროცესები მთელ საქართველოში ერთნაირად უნდა დაიწყოს.

***– რა პროცესებზე საუბრობთ?***

– საყოველთაო გამოღვიძებას. მთელი ერის გამოღვიძებაა საჭირო.

***– პირადად თქვენ რატომ დუმხართ?***

– ვინ დუმს, კაცო? მე ვარ დადუმებული? მარტო შენ რამდენჯერ მოგეცი ინტერვიუ. ფეისბუქი აჭრელებული მაქვს მთლიანად.

***– ეს გასაგებია, მაგრამ ჩვენ სხვანაირი კახა მიქაია გვახსოვს, რომელიც ნაციონალებს სისხლს უშრობდა.***

– მაშინ მე ვიყავი ქუჩაში და ისე ვიქცეოდი, როგორც ქუჩის ოპოზიციას შეეფერებოდა.

***– არც ახლა ხართ პარლამენტში.***

– სამაგიეროდ, ვარ პრესაში და ტელევიზიაში. კახა მიქაია არაა ის კაცი, რომ გაჩერდეს. უბრალოდ, ბრძოლის ფორმა შევიცვალე.

***– ქუჩაში გასვლას აღარ აპირებთ?***

– გავიდოდი, მაგრამ არსებული ვითარება არ ქმნის ამისთვის პირობებს. სამეგრელოში იმდენად სუსტია წინააღმდეგობა, რომ ქუჩაში გამოსვლა ეფექტური არ იქნება.

წინააღმდეგობის სისუსტე იქეთ იყოს, ხალხი საშინლად იმედგაცრუებულია. ყოფილი და მოქმედი ხელისუფლება ერთმანეთს ისე შეერწყა, ერთმანეთისგან მათი გარჩევა შეუძლებელია. როდესაც საკრებულოს წევრი ვიყავი, მაშინ ვურჩიე, რომ ლურჯი და წითელი მაისურებით ევლოთ, სხვანაირად შეუძლებელია იმის გარჩევა, რომელია ნაციონალი და რომელი – მეოცნებე. მათ ერთმანეთისგან მეც კი ველარ ვარჩევ.

# გიორგი ანდრიაძე: „დეკანოზი გიორგი მამალაძე არც პატრიარქს კლავდა და არც შორენა თეთრუაშვილს“

## „ციანიდის საქმე დადგმული სპექტაკლია“

შორენა მარსაგიშვილი

ციანიდის საქმესთან დაკავშირებით პატრიარქის ფონდის მმართველი საბჭოს წევრი გიორგი ანდრიაძე სკანდალურ განცხადებას ავრცელებს. მისი მტკიცებით, ციანიდის საქმე დადგმული სპექტაკლია და ის ერთ მიზანს, ჭყონდიდელი მიტროპოლიტის პეტრე ცაავას რეიტინგის გაზრდას ემსახურება.



მართალია, სასამართლოს დეკანოზ გიორგი მამალაძისთვის განაჩენი არ გამოუტანია, მაგრამ ცოტა ხნის წინ მას სასულიერო ხარისხი და ზიარების უფლება შეუჩერეს.

საპატრიარქო ამ საქმეზე პოზიციას არ აფიქსირებს, მაგრამ ამბობს, რომ გამოძიებას ენდობა. გამოძიების მტკიცებით კი, მამა გიორგი ციანიდით ვილაცის მოკვლას აპირებდა.

პატრიარქის ფონდის მმართველი საბჭოს წევრი გამოძიებას არ ენდობა, რადგანაც ამბობს, რომ მამა გიორგი არავის მოკვლას არ აპირებდა.



– გიორგი მამალაძეს ოპერატიული სამსახურები უთვალთვალებდნენ და ფარულად უსმენდნენ, მაგრამ რატომღაც ისე მოხდა, რომ მის მიერ ციანიდის შესყიდვის ფაქტი ვერ დააფიქსირეს, არადა დეკანოზი არც ჯეიმს ბონდია და არც მატა ჰარი, რომ სპეცსამსახურებს შეუმჩნევლად დასხლტომოდა ხელიდან. დიდი ხანია ვამბობ, რომ ციანიდის საქმე სპექტაკლია, რადგან არც პატრიარქს კლავდნენ და არც შორენა თეთრუაშვილს.

ციანიდის საქმის ფონზე განვითარებული მოვლენები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრედიტაციას ემსახურება, – ვკითხულობთ ანდრიაძის საგანგებო განცხადებაში.

მისი აზრით. ამ სპექტაკლმა თავისი შედეგი უკვე გამოიღო. შედეგი კი ანდრიაძის შეფასებით ასეთია:

– ენდიაის უკანასკნელი კვლევის მიხედვით, ქართული ეკლესიის რეიტინგი განახევრებულია, სამაგიეროდ, გაპიარებულია მეუფე პეტრე, როგორც „სიმართლისთვის მებრძოლი“.

გიორგი ანდრიაძე თითქმის დარწმუნებულია, რომ პროკურატურა დეკანოზ გიორგი მამალაძეს ვერაფერს დაუმტკიცებს. რაც, მისი აზრით, მხოლოდ მეუფე პეტრესთვის იქნება კარგი.

– ვვარაუდობ, „ციანიდის საქმე“ დეკანოზ მამალაძის გამართლებით დასრულდება, რის შედეგადაც მივიღებთ პირწმინდად გამარჯვებულ მეუფე პეტრეს და დამარცხებულ საპატრიარქოს ადმინისტრაციას. დეკანოზი საქართველოში თუ არ გამართლდება, აუცილებლად გამართლდება სტრასბურგის სასამართლოში. არ არსებობს მყარი არგუმენტები და არ არსებობს მოწმეც, რომელიც დეკანოზ მამალაძეს ხელს დაადებს და იტყვის, რომ იგი შორენა თეთრუაშვილის მოკვლას აპირებდა, – აღნიშნავს გიორგი ანდრიაძე.

ის მეუფე პეტრესთან დაახლოებული სასულიერო პირის, მამა ანდრია სარიას განცხადებებითაც უკმაყოფილოა. ანდრიაძე ამბობს, რომ მამა ანდრია და რუსთავი 2 მის წინააღმდეგ პროვოკაციას აწყობენ.

ის საგანგებო განცხადებაში აცხადებს, რომ მეუფე იაკობის და საპატრიარქოს იურისტის ედიშერ ქარჩავას პოზიციას ემიჯნება.

– მღვდელი ანდრია სარია სისტემატურად ცდილობს ჩემი პოზიცია ედიშერ ქარჩავას და მეუფე იაკობის პოზიციასთან გააიგივოს, რაც შეგნებული პროვოკაციაა. ციანიდის სპექტაკლის დაწყებიდან რადიკალურად ვემიჯნები იმ მოსაზრებას, რომ დეკანოზი მამალაძე საერთოდ ვინმეს კლავდა. ამდენად, ქარჩავასავით მე მეუფე პეტრეს არც პატრიარქის მოკვლას და არც მოკვდინებას არ ვაბრალებ (მაგას თავის ცოდვებიც ეყოფა) და ეს იაფფასიანი პროვოკაცია სარიას და რუსთავი 2-ს არ გაუვა, – ნათქვამია განცხადებაში.

# ელიავას ბაზრობაზე დაზარალებულ მეწარმეებს საგადასახადო ვალდებულებები არ წარმოეშვებათ

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური მზადაა დახმარება გაუწიოს ე.წ. ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე ხანძრის შედეგად დაზარალებულ მეწარმეებს, ხანძრის ზემოქმედების შედეგად განადგურებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერასთან დაკავშირებით.




როგორც შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, დაზარალებული მეწარმეების იდენტიფიცირების მიზნით, ბაზრობის ადმინისტრაციასა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს შორის მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები.

– დაზარალებული პირების იდენტიფიცირების შემდეგ, ხანძრის ზემოქმედების შედეგად განადგურებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დადასტურება შემოსავლების სამსახურის მიერ, განხორციელდება ადგილზე გაუსვლელად, საგადასახადო მონაცემთა ავტომატიზირებული სისტემის მეშვეობით და, შესაბამისად, დაზარალებულ პირებს განადგურებულ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებთან დაკავშირებით, არ წარმოეშვებათ საგადასახადო ვალდებულებები, – ნათქვამია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის განცხადებაში.

# „თქვენთან ვარ“... ბატონო გურამ!

ძალზე ხშირად, ვიღაცის ნათქვამი, ერთი სხარტი ფრაზა და მწარე ირონიით, სარკაზმით გაჯერებული ერთი ხუმრობა, იმდენად მრავლისმეტყველია, იმდენად სრულყოფილად ხატავს შექმნილ გარემოს და არსებულ მდგომარეობას, რომ ყოველგვარი კომენტარის გარეშე, პოლიტიკური დიაგნოზის დასკვნადაც, უყოყმანოდ გამოდგება!

ამჯერად, მართლაც ენამოსწრებულმა ირონიამ გვიბიძგა ერთხელაც მივუბრუნდეთ ფაქტს, რომლის შესახებაც ჩვენც და სხვებიც, იმდენჯერ და იმდენი ხანია ვწერთ, რომ ვინმეს შეიძლება „საზეპირო ადგილებიც“ კარგად ახსოვდეს. თუმცა, საქმის კურიოზულობამდე შინაარსი და ჟურნალისტიკის დადგენილი წესიც გვაიძულებს ფაბულა შეგახსენოთ.

„2007 წლის თებერვალში სასტუმრო „საქართველოში“ განთავსებულ „შპს“ „მასვალოს“ და „მასპინძელს“ მაშინდელი სოდ-ი მიადგა და ობიექტზე რვათვიანი რევიზიით ჩაჯდა. შესვლის მიზეზი რომ მხოლოდ ფინანსური რევიზია არ იყო, მოგვიანებით, ზაფხულში „გაამხილეს“, როცა სოდ-ის უფროსი ერეკლე კოდუას ძმა დავით კოდუა და დედამისი ლაურა ლაჭავა აქაურ დამფუძნებლებს „პოტენციურ“ მყიდველებად მოევლინნენ. ლაურა ლაჭავამ „მოახერხა“ და შპს „საქართველოში“ სამი წლის ბრძოლის შემდეგ მფლობელად დარეგისტრირდა, მაგრამ ამ ყველაფერს „წილების დათრევის“ ჩვეული მეთოდი უძღოდა წინ: დააპატიმრეს რამდენიმე გასხვისებაზე გაჯიუტებული ქონების მფლობელი და დამფუძნებელი. დანარჩენებს სოდ-მა შეუზღუდა საქმიანობა. გათვლა მარტივი იყო: როცა იძულებით გაჩერებული საწარმო არც ბიუჯეტს აძლევს რამეს და არც ოჯახში შედის კაპიკი, პატრონი იძულებული ხდება, ან ყველაფერზე თქვას უარი ანდა „მყიდველის“ შემოთავაზებულ კაპიკებს დათანხმდეს. ასეც მოხდა, მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა.

2007 წლიდან დღემდე მთლიანად განიავდა აქაური ქონება. მოძალებულმა ფინანსურმა ვალდებულებებმა პრობლემას პრობლემა მიამატა. ოჯახურმა კლანმა „პარტნიორები“ აიძულა, მის სასარგებლოდ დაეთმოთ აქამდე შემორჩენილი წილები, რის შემდეგაც, შპს „საქართველოს“ მართვის საკონტროლო პაკეტი –





89% მათ ხელში აღმოჩნდა. დარჩენილი, გურამ ახრახაძის კუთვნილი წილი, დიდად აღარ აღელვებთ. გაყიდვების შემთხვევაში 89%-ის მფლობელი (კოდუების გათვლით) ახალი პარტნიორი მას ძალზე იოლად „დაითრევს“ – თუნდაც საწესდებო კაპიტალის გაზრდის ხარჯზე. ამ შემთხვევაში პარტნიორი ან სულ დაკარგავს, ანდა, იმ 11%-ის გასხვისებას დაყაბულდება.

ეს კი ისეთი ილუზიაა, რომელსაც განხორციელება არ უწერია. ამას ადასტურებს 10 წლის მანძილზე სასტუმრო „საქართველოს“ შენობასთან დაკავშირებული დღემდე დაუსრულებელი დავა. ნათლად ჩანს, რომ ოჯახური კლანი ჩვეულ სტილში ცდილობს ინვესტორის მოტყუებას, რომელსაც ისეთ ნაღმს სთავაზობს, რომელიც შესაძლოა საბედისწეროც აღმოჩნდეს მათი გარიგებისთვის.

მას შემდეგ, რაც გურამ ახრახაძემ საჯარო რეესტრში შემთხვევით აღმოაჩინა, რომ 2013 წლის ნოემბერში (?!) შპს „საქართველოს“ კუთვნილი შენობა, მიწის ნაკვეთთან ერთად, ქალბატონ ლაჭავას ერთპიროვნული, პარტნიორებთან შეუთანხმებელი გადაწყვეტილებით მთლიანად დაიტვირთა იპოთეკით „ქართუ ბანკიდან“ მიღებული (?!) (8.5 მილიონი აშშ დოლარის სანაცვლოდ), პოტენციური ინვესტორებისათვის სატყუარად „გადაგდებული ძვალი“, ახლა თავად კოდუებს ეჩხირება ყელში!...

ეს კი იმით დაიწყო, „სკანდალს“ რომ ვუწოდებთ და თავისი არსით კომიზმსაც რომ სცდება. სხვადასხვა ინსტანციის 6 სასამართლოსა და, რაც მთავარია, სააპელაციო სასამართლოს პრინციპულმა პოზიციამ შპს „საქართველოს“ აუქციონზე გატანა შეაჩერა. კიდევ ერთი საყურადღებო და საინტერესო ფაქტი! „ქართუ ბანკიდან“ მიღებული ფული ლაურა ლაჭავას იპოთეკით დატვირთული საკუთარი ქონების, „კავკასიის უძრავი ქონების ჯგუფი“ გამოსასყიდად სჭირდებოდა. მიიღო კიდეც, ოღონდ ისე, რომ ამ თანხიდან შემდგომში შპს „საქართველოს“ ერთი თეთრიც არ მოხმარებია. უკვე მეოთხე წელია, რაც ამ ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე ადგილიდან არ დაძრულა. წარმოუდგენელი ცინიზმი ის არის (თუმცა, სასაცილო ნამდვილად არაფერია), რომ საქართველოში ჩივილით გურამ ახრახაძე უნებლიეთ, თავისი წილი ქონების უკანონოდ დამგირავებლის, ლაურა ლაჭავას „მოკავშირედ“ და მხსნელად იქცა! (?!) როგორ და, ახრახაძის სარჩელის დაკმაყოფილების შემდეგ, როცა იგი დაზარალებულად ცნეს, „ბანკ ქართუს“ ლაჭავას ვალის გადაუხდელობის გამო ქონების ჩამორთმევაზე აღსრულება შეუჩერდა! მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, მოსარჩელემ (ახრახაძემ) მტკიცების ყველა გარემოება უტყუარად დაადასტურა, მაინც ყოველდღე გვიწევს ამ თემაზე საუბარი.

2017 წლის 17 მარტს მოქალაქე გურამ ახრახაძემ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტს მიმართა. კომიტეტმა ვადების დაცვით გადაუგზავნა წერილი პროკურატურას, საიდანაც მიღებული პასუხიც, ასევე ვადების დაცვით, 8 მაისს დაუბრუნა ავტორს, „... რომ გრძელდება ყოველმხრივ სრული და ობიექტური გამოძიება-ო...“ – წერს პროკურატურა. არადა, ვინც ამ საქმეს იცნობს, აუცილებლად იკითხავს – რა გვჭირს ასეთი გამოუძიებელი და უსაშველო?! ისტორია კი ისეთია, როგორც სხვა ბევრი, „იმ დროიდან“ რომ მოგვყვება და ჯერაც არავინ იცის, მართლა როდის, სად და როგორი ბოლო ექნება!“

ასეა! სესხის არამიზნობრივი გაცემის გამო აღძრული სისხლის სამართლის ერთი საქმე ოთხი წელია, (?!) რაც „ყოველმხრივი, სრული და ობიექტური“ გამოძიების ობიექტია! (?!) არადა, როგორც „ბოროტი“ ენები ამბობენ, საქართველოში იმდენი „... ყოველმხრივი, სრული და ობიექტური“ გამოძიების ობიექტი და „ახეული ბიზნესის“ მსხვერპლია, რომ საეჭვოა, პროკურატურა – სასამართლოს ასეთი „ოთხწლიანი მუშაობის ტემპით“, ვინმეს წართმეული ქონება საერთოდ დაუბრუნდეს! – წართმეული ღირსების დაბრუნებაზე აღარაფერს ვამბობთ!

ამიტომაც, ჯერ ასეთი, წლების მანძილზე ყაჩაღობის, მერე კი ჯიბედაცარიელებული ქართველი ბიზნესმენებისა და გაპარტახებული ქართული ბიზნესის მიმართ სახელმწიფოსაგან მსგავსი დამოკიდებულების გამო ნათქვამი – რატომ ყიდულობენ ჩვენში უცხოელები ყველაფერსო?! – უაზრო, რიტორიკული შეკითხვა და მწარე რეალობაა!

ჰოდა, დაზარალებული ბიზნესმენების არმიას ნუგეშად ორი რამ დარჩენია. პირველი, გურამ ახრახაძის ერთი მეგობრის ის მოსწრებული ხუმრობაა, დასაწყისში რომ „დავაანონსეთ“: – ერთიც ვნახოთ და კიდევ ერთი სადავო სასამართლოს წინა დღეს, სოციალურ ქსელში (როგორც ერთხელ „რეპერების“ შემთხვევაში ) ბერა ივანიშვილის განცხადება გამოჩნდა – „თქვენთან ვარ“, ჩემო ბატონო გურამო! – ხომ აშენდა კაციო?!

მეორე კი...

იქნებ, ასეთი მსუყე, მაგრამ ძალიან არასასიამოვნო ხუმრობის მიზეზებზე ხელისუფლების (სურვილის შემთხვევაში) სერიოზულად დაფიქრებამ მაინც გამოიღოს შედეგი! მით უფრო, რომ გურამ ახრახაძისეული 11% იმდენად ძნელად „დასახრავი ძვალი“ გამოდგა, რომ კოდუებთან ერთად, შეიძლება სხვაც „დაახრჩოს“!

**მერაბ გუგუნაძე**

# ჩინური ინიციატივა და საქართველოს პერსპექტივა

გლობალური კვლევების ცენტრმა მორიგი საექსპერტო შეხვედრა მიუძღვნა ახალ ჩინურ ინიციატივას – „ერთი სარტყელი, ერთი გზა“. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ექსპერტები იოსებ არჩვაძე, მამუკა არეშიძე, გუბაზ სანიკიძე, პეტრე მამრაძე და ვასილ კაპანაძე.

**გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი:** ჩვენი შეკრება მიეძღვნა იმ ახალ გიგანტურ პროექტს, რომლის იდეაც ჩინეთს ეკუთვნის. მე პირადად ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი გამიჩინა ამ პომპეზურმა პროექტმა – „ერთი სარტყელი, ერთი გზა“. ცნობილია, რომ ეს პროექტი რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობით უნდა განხორციელდეს. ჩინეთთან თანამშრომლობა ჩვენ გაცილებით ადრე დავიწყეთ „აბრეშუმის გზის“ კონტექსტში. ხომ არ მცირდება ამ შემთხვევაში ჩვენი როლი და მომავალში წამგებიან პოზიციაზე ხომ არ აღმოვჩნდებით? სად არის ჩვენი ადგილი ამ გიგანტურ პროექტებში? ექსპერტების თქმით, ყველა ეს პროექტი ადრეა დაწყებული, უბრალოდ, ერთი ქოლგის ქვეშ მოაქციეს და დაარქვეს – „ერთი სარტყელი, ერთი გზა“. ამიტომ ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ეს უფრო პოლიტიკური პროექტია, ვიდრე ეკონომიკური. ჩინეთი ცდილობს გახდეს გლობალური ეკონომიკური ფორუმის ავტორი და, შესაბამისად, ამ ქვეყნის ბიზნესინტერესებს შესაძლოა მოჰყვეს მისი პოლიტიკური ინტერესებიც. სწორედ აღნიშნულ საკითხებზე იმსჯელეს სემინარზე საგანგებოდ მოწვეულმა ექსპერტებმა.

**საქართველოს ყოფილი ელჩი აშშ-ში არჩილ გეგეშიძე:** სამ ქვეყანას აქვს მსოფლიოში დიდი მასშტაბის ჰოსპიტალი-გემი – რუსეთს, აშშ-ს და ჩინეთს. გრენადაში ყოფნისას მითხრეს, რომ ჩინელები ადგილობრივ მოსახლეობას უწევენ დახმარებას და იქ აშშ-ზე მეტად ჩინეთს იცნობენ. ჩინეთის აქტივობა მეტად ჩანს და მთელ რიგ ისეთ ფილანტროპულ პროექტებს უკავშირდება, როგორებიცაა უფასო ჰოსპიტალების, საცხოვრებლების, სპორტული მოედნების მშენებლობა. მოგეხსენებათ, ჰაიტი უღარიბესი ქვეყანაა და თუ აშშ-ის პროგრამები უფრო უნარ-ჩვევებისა და ცოდნის განვითარებას უკავშირდება, რაც, მოგეხსენებათ, უბრალო მაცხოვრებელს არ აინტერესებს, ჩინელები კონკრეტულად ეხმარებიან მათ. ერთი სარტყელის ინიციატივა ბევრად ადრე და გლობალური მასშტაბით ჩამოყალიბდა და მოიცავს კონკრეტულად ევრაზიის ტერიტორიას. ზოგადად კი, ევრაზია ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო მსოფლიოსთვის, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულებში და ამ უზარმაზარი სივრცის სტაბილურობას გლობალური მშვიდობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც დასავლეთისთვის, ასევე ჩინეთისთვის. ასევე მნიშვნელოვანია, ვისი პირობით დამყარდება ეს სტაბილურობა. დასავლეთს მიაჩნია, რომ ჩინეთის ამ ინიციატივას შეუძლია ხელი შეუშალოს დასავლეთის წესებით ევრაზიაში სტაბილურობის დამკვიდრებას და ის აფრთხილებს თავის პარტნიორებს, მათ შორის ჩვენც, მოსალოდნელი რისკების შესახებ. ერთ-ერთ რისკად ასახელებენ თავად ამ პროექტის მასშტაბურობას, რომელიც იმდენად გლობალური და მრავალფეროვანია, რომ ჩინეთს შეიძლება მისი მართვა გაუჭირდეს. არადა, თუ ეს პროექტები ჩავარდა, ეს შელახავს ჩინეთის რეპუტაციას და უდიდეს პოლიტიკურ რისკებს გააჩენს მისთვის.

ძალიან ოპტიმისტები თუ ვიქნებით, საქართველოს შეუძლია არამარტო თავისი მდებარეობით, ზოგადად, მისი გამჭრიახი დიპლომატიით და გონივრული პოლიტიკით ისეთი პოზიცია დაიკავოს, რომ ქვეყნებს შორის ერთგვარი ხიდის როლი შეასრულოს. ჩინეთს და ევროკავშირს ძალიან სჭირდებათ ერთმანეთი, ოღონდ ურთიერთობის მისაღებ პრინციპებზე ჯერ ვერ თანხმდებიან და თუ შეთანხმდნენ, შეიძლება საქართველოს როლიც გამოიკვეთოს. მეორე საკითხია, საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტებიდან და რუსეთთან ურთიერთობიდან გამომდინარე, პოლიტიკურად როგორ უნდა დავიკავოთ კორექტული პოზიცია. ამიტომ უნდა გავცეთ აქ პასუხი – ეწინააღმდეგება თუ თანხვედრაშია ეს ინიციატივა რუსეთთან, თუ საფრთხეს უქმნის მას? ამას გარდა, საინტერესოა, როგორი იქნება აშშ-ის ინტერესები. ხომ არ განმეორდება იგივე, როდესაც ჩვენს ირანთან ურთიერთობას აშშ ამუხრუჭებდა 90-იან წლებში და თუ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაინახა გარკვეული საფრთხე, შეიძლება ანალოგიურად მოიქცეს. მაგალითად, როდესაც ჩვენ ვუერთდებოდით ჩინეთის მიერ შექმნილ ახალ, აზიის საერთაშორისო საინვესტიციო ბანკს, რომელიც თითქოს ახალი მსოფლიო ბანკის ალტერნატივად ჩაიფიქრა ჩინეთმა, აშშ-ში მე მითხრეს პირად საუბარში, ფრთხილად იყავითო. ჩვენ, როგორც პატარა ქვეყანას, მაქსიმალურად დივერსიფიცირებული უნდა გვქონდეს საგარეო ურთიერთობები. ამიტომ, მართალია, დიდი ვაჭრობის საექსპორტო პოტენციალი ჩვენ არ გვაქვს, მაგრამ, ჩემი აზრით, ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაც შეიძლება გამოგვადგეს, თუ ჩვენი ეკონომიკა ამისთვის მზად იქნება, ისევე, როგორც შეგვიძლია გამოვიყენოთ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, რომელსაც დღეს ალბათ 1%-ითაც ვერ ვიყენებთ.

ჩვენნაირ პატარა ქვეყანას სარგებლის მიღება შეუძლია სწორი უცხოური ინვესტიციებით, ისევ და ისევ თუ სხვები არ დაგვამუხრუჭებენ და არ ჩავთვლით, რომ ის საინვესტიციო პირობები, რასაც ისინი გვთავაზობენ, ჩვენს პრინციპებს ეწინააღმდეგება.

ჩვენთან უცნაური ამბავი ხდება. ამდენი ხანია, რაც დამოუკიდებელი ქვეყანაა საქართველო და ერთი სერიოზული კვლევით პროგრამა და ცენტრი არ არსებობს ან რუსეთთან, ან ჩინეთთან დაკავშირებით. არადა ეს მრავალასპექტიანი საკითხია, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს გარდამქმნელი გავლენა. ამ ყველაფერს კი საფუძვლიანი კვლევა სჭირდება. ინტერესი არსებობს, მაგრამ არ არის შესაბამისი რესურსი კონკრეტული კვლევების ჩატარების და, სხვათა შორის, დონორებსაც არ აქვთ მისი მნიშვნელობა გაცნობიერებული, რათა ეს პრიორიტეტული მიმართულება დააფინანსონ, მაშინ როდესაც, ათას სისულელეს აფინანსებენ. არადა, ბევრი დაინტერსდებოდა ამ საკითხის კვლევით.

გლობალური კვლევების ცენტრი უახლოეს ხანს ჩინელ კოლეგებთან შეხვედრას და ამ პროექტებზე მსჯელობას გეგმავს.

# პროფკავშირების გაერთიანება – 32.5 გრადუსს ზემოთ ყველა ტიპის სამუშაო უნდა შეიზღუდოს

– პრემიერ-მინისტრის 2014 წელს გამოცემული საწარმოო რეგლამენტის მიხედვით, 32.5 C-ზე მუშაობა მხოლოდ ერთი საათით არის დაშვებული და ისიც მხოლოდ საოფისე პირობებში, – ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების განცხადებაში.

პროფკავშირების ინფორმაციით, 32.5 C-ს ზემოთ ყველა ტიპის სამუშაო უნდა შეიზღუდოს სწორედ ზემოაღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, რომელიც საწარმოო სათავსების მიკროკლიმატისადმი წაყენებულ ჰიგიენურ მოთხოვნებს ამტკიცებს.

– დოკუმენტის თანახმად, სიცხეში მუშაობა ასეთი ინტენსივობითაა დაშვებული: იმ საწარმოებში, სადაც ენერგოდანახარჯების ინტენსივობა 120 კილოკალორიამდეა საათში და გულისხმობს ჯდომით მდგომარეობაში მუშაობას, რომელსაც ახლავს უმნიშვნელო ფიზიკური დაძაბვა, მუშაობა 32 C-ზე, დღეში მხოლოდ ორი

საათის განმავლობაშია დაშვებული. საუბარია რიგ პროფესიებზე მრეწველობაში, პოლიგაფიულ და კავშირგაბმულობის საწარმოებში, მათ შორის, კონტროლიორებზე და სხვადასხვა სახის საწარმოების ოსტატებზე. აღნიშნული პროფესიები წარმომადგენელთათვის 31.5 C-ს ზემოთ 3 საათი დაშვებულია საოფისე და სხვა შედარებით მსუბუქი დატვირთვის სამუშაოს შემსრულებლებისთვის. იმათთვის კი, ვისი სამუშაოც დაკავშირებულია 10 კგ სიმძიმის გადატანასთან და გადაადგილებით, რომელსაც თან ახლავს მძიმე და დიდ და ზომიერ ფიზიკურ დაძაბვას (საჩამომსხმელო, სამჭედლო, თერმული, შემდუღებელი საამქორები, საგლინავი, მანქანათმშენებლობის და მეტალურგიული საწარმოები, ხელით ჭედვის პროცესს, საჩამომსხმელო საამქროებში ხელით დატენვა და ჩასხმა) 31 C-ს გრადუსის შემდეგ მუშაობა უნდა შეიზრუდოს. საათობრივი შეზღუდვა მძიმე სამუშაოს შემსრულებელთათვის დაწესებულია 26 C-დან. საათობრივი რეჟიმი უნდა დაიცვან საოფისე და შედარებით მსუბუქი ფიზიკური დატვირთვის სამუშაოს შემსრულებლებმა 28 C-დან ზევით, – ნათქვამია პროფკავშირების განცხადებაში.

პროფესიული კავშირების გაერთიანება და მისი წევრი ორგანიზაციები – მეტალურგიულ, მშენებლობის, სამთო მომპოვებელ და ასევე რკიგნიგზის და სხვა სფეროებში, რომელთა წევრებსაც უწევთ ასეთი პირობებში მუშაობა, მოითხოვენ ხელისუფლებამ, მეწარმეებმა და დამსაქმებლებმა პატივი სცენ მთავრობის ხელმძღვანელის 2014 წლის 15 იანვრის №69-ე დადგენილებას (ტექნიკური რეგლამენტი – საწარმოო სათავსების მიკროკლიმატისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ) და ცხელ დღეებში ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო პირობები უზრუნველყონ.

## მერაბ ღოღობერიძე და ირაკლი ჩხვირკია პატიმრობაში დატოვეს



ბათუმის სასამართლომ 11-12 მარტის მოვლენების ორგანიზატორობის ბრალდებით დაკავებული მერაბ ღოღობერიძე და ირაკლი ჩხვირკია პატიმრობაში დატოვა.

პროცესის დასაწყისში მერაბ ღოღობერიძემ განაცხადა, რომ ის უდანაშაულოა და ბათუმის მერის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებს.

უდანაშაულობაზე საუბრობს ასევე ირაკლი ჩხვირკიაც, რომელიც აცხადებს, რომ მის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს სასამართლოს ყველა ინსტანციაში გაასაჩივრებს.

## სამტრედიის რაიონში ქალმა 75 წლის მამაკაცი დააყაჩაღა და დაჭრა

სამტრედიის რაიონის სოფელ კვირიკეში ქალმა მეზობელი – 75 წლამდე მამაკაცი დააყაჩაღა. ბრალდებული ცივი იარაღით იყო შეიარაღებული, მას შემდეგ კი, რაც მამაკაცმა წინააღმდეგობა გაუწია, მან მეზობელი დაჭრა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში „ნიუპოსტს" განუცხადეს, ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს. გამოძიება 179-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

## ურეკში ზღვამ მამაკაცის ცხედარი გამორიყა

ურეკში ზღვამ 55 წლის მამაკაცის ცხედარი გამორიყა.როგორც „ნიუპოსტს" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით აღიძრა, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

## გორში 13 წლის ბავშვს მანქანა დაეჯახა



გორში, ჭალის დასახლებაში 13 წლის ბავშვს მანქანა დაეჯახა.

„ნიუპოსტის" კორესპონდენტის ცნობით, შემთხვევა იმ დროს მოხდა, როდესაც მოზარდი ველოსიპედით მოძრაობდა. ბავშვს დაზიანებები თავის არეში აქვს მიყენებული, ის „გორმედიდან" გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის შემდეგ თბილისში გადაიყვანეს. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურში განგვიცხადეს, გამოძიება 276-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც საგზაო მოძრაობის წესების დარღვევას გულისხმობს. ავტომობილის მძღოლი შემთხვევის ადგილიდან არ მიმალულა.

## საქართველოში შემოსვლისას კიდევ ერთი ე.წ. კანონიერი ქურდი დააკავეს

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული, წარსულში რამდენჯერმე ნასამართლევი ხ.ხ., კანონიერი ქურდობის ბრალდებით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ხ.ხ. 2014 წლიდან ე.წ. „ქურდულ სამყაროში" აღიარებულია „კანონიერ ქურდად". ბრალდებული 2014 წლიდან საბერძნეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდა და აქტიურად მონაწილეობდა ე.წ. „ქურდულ გარჩევებში". გამოძიება კანონიერი ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 223-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით).

## თბილისის ინტერპოლმა გერმანიის ინტერპოლის მიერ ძებნილი პირი დააკავა



თბილისის ინტერპოლისა და შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს საორგანიზაციო სამმართველოს პირველი განყოფილების სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლი „ბათუმის აეროპორტის" თანამშრომლების მიერ ერთობლივად ჩატარებული ღონისძიების შედეგად, ისრაელიდან საქართველოში შემოსვლისას გერმანიის ინტერპოლის მიერ 2006 წლიდან ძებნილი, 1953 წელს დაბადებული ისრაელის მოქალაქე ე.ნ. დააკავეს.

დაკავებულს ბრალი ედება გერმანიის ნარკოტიკების შესახებ კანონის 1, 3 და 29 მუხლების დარღვევაში, რაც ითვალისწინებს დიდი ოდენობით ნარკოტიკების შეძენა-შენახვა-გასაღებას.

ამჟამად, ე.ნ.-ს მიმართ მიმდინარეობს კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები.

## მოსამართლე ნატა ნაზღაიძის ძმისთვის ქონების გადაცემის საქმეზე სასამართლო წარმოება შეწყდა




მოსამართლე ნატა ნაზღაიძის ძმისთვის ქონების გადაცემის საქმეზე სასამართლო წარმოება შეწყდა. თბილისის საკრებულოს ოპოზიცია, დედაქალაქის საკანონმდებლო ორგანოს იმ დადგენილებას ასაჩივრებდა, რომლითაც საკრებულომ ზვიად ნაზღაიძეს მილიონ ლარამდე ქონება და ფულადი თანხა გადასცა.

საქმეზე რამდენიმე სასამართლო პროცესი ჩატარდა და მხარეები საქმის არსებითი განხილვისთვის ემზადებოდნენ, თუმცა დღევანდელ პროცესზე საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატების მოწინააღმდეგე მხარემ შუამდგომლობა დააყენა საქმის შეწყვეტის თაობაზე. შუამდგომლობის საფუძველი საკრებულოს დადგენილების გასაჩივრების ვადის გასვლა იყო, რაც მოსამართლემ გაიზიარა და საქმის წარმოება შეწყვიტა.

საკრებულოს ოპოზიციის შეფასებით, მათ ხელიდან არავითარი ვადა არ ჰქონდათ გაშვებული, ვინაიდან საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილების ბათილად ცნობა, მათ თავდაპირველად საკრებულოშივე უნდა მოეთხოვათ და საკრებულოში შესაბამისი პროცედურების ამოწურვის შემდეგ უნდა მიემართათ სასამართლოსთვის.

– ჩვენდა გასაკვირად, მოსამართლე ბუაჩიძემ შეწყვიტა საქმე იმის გამო, რომ მოწინააღმდეგე მხარემ დააყენა შუამდგომლობა. საქმის შეწყვეტის შუამდგომლობა დადგა იმ მოტივით, რომ ჩვენ გასაჩივრების ვადა გავუშვით და არ გაგვაჩნია იურიდიული ინტერესი. არ ჩაგვბარებია ჯერ დასაბუთებული გადაწყვეტილება, მაგრამ ნამდვილად გასაკვირია, რომ ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე ქართულმა სასამართლომ არ მოისურვა დეტალებში შესვლა, რათა განეხილა, თუ როგორ ნიავდება თბილისის ქონება. რა თქმა უნდა, ამას გავასაჩივრებთ თბილისის სააპელაციო სასამართლოში, – განაცხადა საკრებულოს დეპუტატმა სევდია უგრეხელიძემ.

ოპოზიცია მიიჩნევს, რომ სასამართლომ საქმის შეწყვეტით მმართველი გუნდის პოლიტიკური გადაწყვეტილება შეასრულა.

## გივი თარგამაძე არ გამორიცხავს, რომ მისი მანქანის აფეთქების საქმეში მთავარი ბრალდებული დავით ხეჩუაშვილი ლიკვიდირებულია




„ევროპული საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერი გივი თარგამაძე არ გამორიცხავს, რომ მისი მანქანის აფეთქების საქმეში მთავარი ბრალდებული დავით ხეჩუაშვილი ლიკვიდირებულია. თარგამაძე გამოძიებას უნდობლობას უცხადებს და აღნიშნავს, რომ აპირებს გააგრძელოს საკუთარი გამოძიება, რათა დაადგინოს მის საქმეში ფიგურანტი ყველა პირი. თარგამაძე კვლავ აღნიშნავს, რომ საქმის გამოძიება არასწორი კვალიფიკაციით მიმდინარეობს და მას აუცილებლად უნდა მიეცეს ტერორისტული აქტის კვალიფიკაცია.

– ვაპირებ გავაგრძელო ჩემი საკუთარი გამოძიება, საკმაოდ შორს ვარ წასული. პრაქტიკულად ჩემთვის ცნობილია უშუალოდ ტერაქტის განმახორციელებელი ყველა პირი, ასევე ცნობილია დაკავშირებული პირები. ისინი გამოკვეთილია გამოძიებაშიც, მაგრამ მათ მიმართ არ ტარდება არც ოპერატიული და არც პროცესუალური მოქმედებები. ჩემთვის ასევე ცნობილია დაკვეთის მიმართულება, ეს არის როგორც რუსული, ასევე ქართული სპეცსამსახურები და პოლიტიკური ხელმძღვანელობა. ასევე ამ ქვეყნის არაფორმალური მმართველი ბიძინა ივანიშვილი. დასაზუსტებელი დამრჩა ის დამკვეთები, რომლებმაც ჩემი პერსონიფიცირება მოახდინეს, როგორც ტერორისტული აქტის ობიექტის და მოსაძიებელი მაქვს დამატებით მტკიცებულებები, რომლებიც ჩემი გამოძიების შედეგებს გაამაგრებს. ამას მე გავაკეთებ და მაშინ, როდესაც სასამართლო იქნება იმ კონდიციაში, რომ ასეთი საქმეები განიხილოს, განიხილავს კიდეც, – განაცხადა გივი თარგამაძემ.

რაც შეეხება ხეჩუაშვილის ადვოკატის განცხადებას, რომ ის მოსკოვში სამუშაოდ იმყოფება, „ევროპული საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერი ადვოკატს ურჩევს, ამის დამადასტურებელი ცნობა წარადგინოს.

– აბრამიშვილისგან განსხვავებით, რომელიც მოსკოვში ჩანს ჩემზე განხორციელებული ტერაქტის საქმესთან დაკავშირებულ ადამიანებთან ერთად, ხეჩუაშვილი აფეთქების შემდეგ საერთოდ არსად არ გამოჩენილა. ჩემი მცდელობები, მისი გადაადგილების შესახებ რაიმე ინფორმაციის მოძიებაზე, უშედეგოა. აქედან გამომდინარე, მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ ხეჩუაშვილი საერთოდ ლიკვიდირებული იყოს. თუ ადვოკატი კონკრეტულად იძახის, რომ ხეჩუაშვილი მოსკოვში მუშაობს, კარგი იქნება თუ ამის ცნობასაც წარმოადგენს, – აღნიშნა გივი თარგამაძემ.

## რუსთავის სასამართლოში საქმეები მოსამართლეებზე ელექტრონულად განაწილდება

რუსთავის საქალაქო სასამართლოში საქმეები მოსამართლეებზე ელექტრონულად განაწილდება. ამასთან დაკავშირებით რუსთავის საქალაქო სასამართლოში სასამართლო საქმეთა ელექტრონული განაწილების პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიება საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ნინო გვენეტაძემ გახსნა. ნინო გვენეტაძემ საქმეთა ელექტრონული განაწილების შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ კანონით გათვალისწინებული სასამართლო საქმეთა შემთხვევითი განაწილების პრინციპთან ერთად, ელექტრონული განაწილების სისტემა უზრუნველყოფს მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილების რაოდენობრივ თანაფარდობას, ასევე სისტემის უსაფრთხოების მაჩვენებლები უზრუნველყოფს სისტემის დაცულობას, მესამე მხარის მიერ შეუღწევადობას და საიმედოობას.

სტუმრებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია მიესალმნენ. პრეზენტაციას პროკურატურის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

საქმეთა ელექტრონული განაწილების პროგრამის პრეზენტაცია საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსმა გიორგი ასანიძემ წარადგინა.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, მოსამართლეთა შორის საქმეების გადანაწილება საპილოტე რეჟიმში, რუსთავის საქალაქო სასამართლოში 1-ელი ივლისიდან დაიწყო, ხოლო სხვა საერთო სასამართლოებში 2017 წლის 31 დეკემბრიდან განაწილდება.

## საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ახალი დირექტორი ჰყავს



საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ახალი დირექტორი ჰყავს. შსს-ს ინფორმაციით, აღნიშნულ თანამდებობაზე პოლიციის პოლკოვნიკი, ნიკოლოზ სირაძე დაინიშნა.

სირაძე საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლებს შს მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა წარუდგინა.

შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლებს დღეს შეხვდა.

შს მინისტრმა ნიკოლოზ სირაძეს თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა, მასთან სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები განიხილა და დავალებები მისცა.

– ნიკოლოზ სირაძეს საქართველოს ძალოვან სტრუქტურებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, – აცხადებენ შსს-ში.

## თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ ვასილ მშვენიერაძე დაინიშნა

თბილისის საქალაქო სასამართლოს და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის თავმჯდომარედ ვასილ მშვენიერაძე დაინიშნა.

გადაწყვეტილება იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ცოტა ხნის წინ მიიღო. მშვენიერაძის კანდიდატურას მხარი საბჭოს 12-მა წევრმა დაუჭირა. ორი არამოსამართლე წევრი – ვახტანგ მჭედლიშვილი და ნაზი ჯანეზაშვილი კი წინააღმდეგი იყო.

მშვენიერაძე აღნიშნულ თანამდებობაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს გიორგი მიქაუტაძეს შეცვლის. მშვენიერაძის კანდიდატურა საბჭოს თავად მიქაუტაძემ წარუდგინა.

## კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნები სხდომათა დარბაზშივე დააკავეს

კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნები, რომლებსაც ბრალად პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული კადრების მოპოვება-შენახვა ედებათ, სასამართლომ დამნაშავედ ცნო.

მოსამართლემ საქმეზე ბრალდებული 6 პირიდან მხოლოდ ერთი, გიგლა შიოშვილი გაამართლა.

ბრალდებული რევაზ შიუკაშვილი და ირაკლი ყიფშიძე სასამართლო დარბაზშივე დააკავეს. ორი პირი ძებნაშია. ერთი პირი კი უკვე სასჯელს იხდის.

# ექსპერტები ტრამპი-პუტინის შეხვედრის შედეგად მნიშვნელოვან ცვლილებებს არ ელიან

## რა კავშირი აქვს რუსულ ფულს არასტაბილურობასთან

მარიამ მჭედლიშვილი



როგორც ცნობილია, აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა ჰამბურგში 7-8 ივლისს გაიმართება.

ამ დღეებში ჰამბურგი ოცეულის სამიტს მასპინძლობს. მსოფლიოში შექმნილი ურთულესი მდგომარეობიდან გამომდინარე, ამ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა ბევრი ექსპერტი აქედან მნიშვნელოვან ცვლილებებს არ ელის.

რამდენიმე დღის წინ პუტინთან შეხვედრის ფორმატზე თეთრ სახლში უთანხმოება იყო. რამდენიმე მრჩეველი პრეზიდენტს ურჩევდა, რუსეთის ლიდერთან ან ხანმოკლე და ფორმალური საუბარი გაემართა, ან მოწყობილიყო აშშ-ისა და რუსეთის დელეგაციების შეხვედრა სტრატეგიული სტაბილურობის საკითხზე. თავად პრეზიდენტი გამოთქვამდა სრულფორმატიანი პირისპირ შეხვედრის სურვილს.

გერმანული „დი ტაგესშაუ“ ვარაუდობს, რომ ოცეულის სამიტი დონალდ ტრამპს ნაკლებად დააინტერესებს. მისი მონაწილეობით ამას წინათ ევროპაში გამართული დიდი შვიდეულისა და ნატოს სამიტები ჩიხში შევიდა. ვაშინგტონი და ევროპა ვერ შეთანხმდნენ კლიმატის დაცვის საკითხზე. გარდა ამისა, ევროპელები საგონებელში ჩააგდო ტრამპის დამოკიდებულებამ ნატოს წესდების მეხუთე მუხლისადმი.

– ტრამპი პუტინის მიმართ რაღაც სულიერ ნათესაობას გრძნობს, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ხელჩაკიდებული ივლიან სამიტის მინდორზე. მათ მოუწევთ ბევრი სერიოზული საკითხის განხილვა. ასეთებია, მაგალითად, კრიზისი უკრაინაში, სირიის კონფლიქტი და მრავალი სხვა, – აღნიშნავს გამოცემა.

7-8 ივლისს ჰამბურგში 30 დემონსტრაცია იგეგმება. ერთი აქცია 2 ივლისსაც გაიმართა. დემონსტრანტები მოითხოვენ ეკოლოგიური სტანდარტების გაზრდას, სამართლიანი გლობალიზაციისა და საერთაშორისო პოლიტიკის გატარებას და ღარიბი ქვეყნების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ექსპერტების აზრით, დონალდ ტრამპი ჰამბურგში ვერ მოიქცევა ისე, როგორც მას აქვს ჩაფიქრებული – ამერიკული ელიტა მას ამის საშუალებას არ მისცემს. გარდა ამისა, ტრამპი თანმიმდევრულობით არ გამოირჩევა. ამიტომ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია, რაც მას ჰქონდა დაგეგმილი, ვერ განხორციელდება.

დონალდ ტრამპისთვის დამაბრკოლებელია ის, რომ მის შესაძლო კავშირს რუსეთთან ისევ იძიებენ.

„ვაშინგტონ პოსტის“ თქმით, დღემდე გაურკვეველია, რა რაოდენობის რუსეთის ფული იქნა ინვესტირებული ტრამპის ბიზნესიმპერიაში. ცნობილია, რომ რუსეთის ფულის დაბანდება 15 წლის განმავლობაში აქტიურად ხდებოდა ნიუ-იორკისა და ლონდონის უძრავ ქონებაში. ეს აძვირებდა ქონებას, ზრდიდა უთანასწორობას საზოგადოებაში და ხელს უწყობდა ისეთი ადამიანების უფრო გამდიდრებას, როგორიც ტრამპია.

ორი ათეული წლის განმავლობაში რუსეთის მთავრობა და კომპანიები ხარჯავდნენ უზარმაზარ თანხას კორუფციული საქმიანი ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად და დასავლეთში დემოკრატიის დასაზიანებლად.

ამ პერიოდში აშშ-ის პრეზიდენტები და სახელმწიფო მდივნები რუსეთის საფრთხეს სერიოზულად არ აღიქვამდნენ. არავინ აცნობიერებდა რუსული ფულის დამღუპველ ზემოქმედებას როგორც ნიუ-იორკის უძრავ ქონებაზე, ისე დასავლეთის დემოკრატიაზე. არავის ესმოდა, რომ ევროპის საზღვარზე მდებარე მსხვილი კლეპტოკრატიული და ნახევრად კრიმინალური სახელმწიფო ემუქრებოდა სტაბილურობას დასავლეთში.

2016 წელს გაირკვა, რომ რუსეთმა განახორციელა კიბერშეტევები და ჩაერია აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში. ამ დროს დასკვნების გამოტანა დაგვიანებული იყო. რუსეთმა მანამდეც დიდი ზიანი მოუტანა დასავლეთს.

## პოლიციამ მაკრონის პოტენციური მკვლელობა აღკვეთა



საფრანგეთის პოლიციამ დააკავა პირი, რომელიც 14 ივლისს საფრანგეთის ეროვნული დღესასწაულის აღლუმზე ემანუელ მაკრონის მოკვლას აპირებდა.

დაკავებულმა აღიარა, რომ შეიძინა კალაშნიკოვის ავტომატი, რომლითაც აპირებდა ამ დანაშაულის ჩადენას.

მამაკაცი 23 წლის არის და ის ადრეც იყო დაკავებული ტერორიზმის პროპაგანდისთვის, თუმცა მაშინ მან ციხე რამდენიმე დღეში დატოვა, ამჯერად კი ბრალდება გაცილებით სერიოზულია.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბრალდებულმა დაკავების დროს პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბრალდებული არასტაბილური ფსიქიკის პატრონია, მაგრამ ის პასუხისმგებლობას იღებს თავის განცხადებებზე.

## დონალდ ტრამპი პოლონეთს ეწვევა

5 ივლისს აშშ-ის პრეზიდენტი ტრამპი პოლონეთში ჩავა, ხოლო იქიდან გერმანიაში გაემგზავრება, სადაც დიდი ოცეულის სამიტია დანიშნული. თეთრ სახლში უკვე ოფიციალურად განაცხადეს, რომ გერმანიაში პუტინ-ტრამპის შეხვედრა შედგება. ბევრი ექსპერტი თვლიდა, რომ ტრამპი ვარშავაში თავის ვიზიტს გადადებდა და პოლონეთს უკვე დიდი ოცეულის სამიტის შემდეგ ეწვეოდა.

– მოსკოვში მიიჩნევენ, რომ პოლონეთი ანტირუსული ინტრიგების უმთავრესი ბუდეა. შესაბამისად, ტრამპის ვარშავაში ჩასვლაც ნაადრევად მიმაჩნია, – განაცხადა ტრამპის ყოფილმა მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების დარგში მაიკ ფლინმა.

მიუხედავად ამისა, აშშ-ის პრეზიდენტმა გადაწყვეტილება მაინც მიიღო. ეს დიდად განაპირობა როგორც სირიაში, ისე უკრაინაში რუსეთის მოქმედებებმა.

– ტრამპი მიხვდა, რომ რუსეთთან საერთო ენის გამოძებნა დღეს შეუძლებელია. რუსეთს შეიძლება მხოლოდ ძალის ენაზე დაელაპარაკო, – ამბობს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვაშჩიკოვსკი.

პოლონეთის ყოფილმა პრეზიდენტმა, ამჟამად კი მმართველი პარტიის ლიდერმა, კაჩინსკიმ, ხაზი გაუსვა, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერმა ტერეზა მეიმ ტრამპი ინგლისში დაპატიჟა, მაგრამ აშშ-ის პრეზიდენტმა ლონდონში ჩასვლას პოლონეთში ვიზიტი ამჯობინა.

– იმედი მაქვს, რომ ამით პოლიტიკაში დიდი შემობრუნება დაიწყება და რუსეთზე ზეწოლა გაძლიერდება, – ამბობს კაჩინსკი.



## ბრძოლები მოსულთან

მოსულთან ბრძოლები გრძელდება. ისლამისტები ალყაში არიან მომწყვდეულნი. მათი მდგომარეობა უიმედოა. მიუხედავად ამისა, ისინი იარაღს არ ყრიან და წინააღმდეგობას განაგრძობენ.

ერაყის არმიის გენერლის ალ-არადის ცნობით, მის ჯარისკაცებს ასიოდე მეტრის დაკავებაღა დარჩათ, რათა მოსულზე მთლიანი კონტროლი დაამყარონ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## გერმანია: 17 მგზავრი ავტობუსში დაიწვა



გერმანიაში, ბავარიის მხარეში, სულ მცირე 17 ადამიანი დაიღუპა მასშტაბური ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად.ტურისტული ავტობუსი სატვირთოს შეეჯახა, რის შედეგადაც ავტობუსს ცეცხლი გაუჩნდა. პოლიციის ინფორმაციით, სალონში მძღოლთან ერთად 48 ადამიანი იმყოფებოდა. მძღოლის გარდა, სალონიდან გადმოსვლა 30 მგზავრმა შეძლო.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვალერი ურიდია: საახალწლო სამზადისის დროს მივიღე მე-3 ხარისხის დამწვრობა. მივმართე საავადმყოფოს. ორი დღის განმავლობაში მდგომარეობა ძალიან დამიმძიმდა. გვირჩიეს ლამარა თოდუას მალამო. პირველი პროცედურის შემდეგ ვიგრძენი, რომ ტკივილი ნელ-ნელა ქრებოდა. სამი პროცედურის შემდეგ ნორმალური ძილი და ჭამა შევძელი. ლამარა თოდუას მალამომ მთლიანად მომიშუშა დამწვარი ფეხები, ხელის მტევნები და სახე, ისე, რომ ნაწიბურც არ მემჩნევა.**

**თამარ ხარხელი: მყავს 78 წლის ლოგინს მიჯაჭვული დედა. გაუჩნდა ნაწოლები. მივმართე ლამარა თოდუას. მისმა მალამოებმა და ლოსიონმა დედაჩემს შვება მოჰგვარა და ორი კვირის მკურნალობის შემდეგ ნაწოლების ადგილზე სიწითლეც აღარ შეინიშნება.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

### განცხადება

2017 წლის 25 აგვისტოს, 12 საათზე, ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (მის. ქ. ახალციხე, კოსტავას ქ.№18) გაიმართება შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №2“-ს, ახალციხის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის გზტ, ყოფილი ტყესანერგე ტერიტორიაზე დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ასფალტის წარმოება.

საზოგადოების წარმომადგენლებს საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

ქ. ახალციხე, ახალქალაქის გზტ, ყოფილი ტყესანერგე ტერიტორია, კომპანიის ოფისი,

**ტელ: 577-95-11-95.**

საზოგადოების წარმომადგენლების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი – დავით მაყაშვილი. ტელ.: 599-70-80-55.

ადმინისტრაცია

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# 19 წლამდე ნაკრებმა პორტუგალიასთან წააგო



**საქართველო-პორტუგალია 0:1**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

0:1 რუი პედრუ (66პ)

**საქართველო:** ჩოჩიშვილი, მალი, ბურჯანაძე, კობოური, ლაკვეხელიანი, კუცია, სამურკასოვი (ჩოგაძე 74), ჩაკვეტაძე (კვანტალიანი 58), არაბიძე, საღრიშვილი, კოხრეიძე (ქოჩორაშვილი 35)

**პორტუგალია:** დიოგო კოშტა, დალოტი, დიოგო კეირუში, კონტე, კინა (მიგელ ლუიში 72), რუი პირესი, ჟოაო ფელიპე (პასი 79), ჟედსონი, კეირუში, რაფაელ ლეაო (მესაკე 55), რუი პედრუ

**გაძევება:** ჟედსონი (73)

პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველოს ნაკრების ნებისმიერი ასაკობრივი ნაკრების წაგებაზე იმ გულისტკივილით ვწერთ, რომ წაგებას არ ვიმსახურებდით. გიორგი ყიფიანის გაწვრთნილმა გუნდმა 70 წუთი მართლაც უკეთესი ფეხბურთი აჩვენა, ვიდრე პორტუგალიამ, ის 20 წუთიც ჩვენი იყო ბურთი, ვუტევდით, მაგრამ ქაოტურად და სათვალავში არ შევიყვანეთ.

პორტუგალიამ ერთხელ დაარტყა კარში, ისიც 11 მეტრიდან და მოიგო. ჩვენებმა უამრავი მომენტი შექმნეს, კომბინაციურადაც აჯობეს მეტოქეს, ინდივიდუალურადაც, მაგრამ...

არაფერს ვიგონებთ, ყველაფერს საკუთარი თვალით ნანახს გეუბნებით – საქართველოს ნაკრებმა აჯობა პორტუგალიას, იმ ნაკრებს, რომელიც 17 წლამდე ევროპის ჩემპიონები არიან...

ვერ ვაჯობეთ ანგარიშში, ამას ვერც უკლასობას დავაბრალებთ, ვერც უიღბლობას, ვერც მსაჯს... მით უფრო, პენალტი, რომელიც ჩვენს კარში დაინიშნა, მთლად 100 პროცენტიანიც არ იყო – ამას უცხოელი სპეციალისტებიც აღიარებდნენ...

რატომ წავაგეთ მაშინ? ერთადერთი მიზეზი მომენტების გამოუყენებლობაა. თუმცა, ფეხბურთია და ეს ხშირად ხდება – ვერ გაიტან შენ, გაგიტანენ...

დასაწყისშივე გიორგი არაბიძეს რომ აუღო პორტუგალიელთა მეკარემ, ეგ იმდენად სახიფათო არ იყო, რამდენადაც გიორგი ჩაკვეტაძის მომენტი – მეკარესთან პირისპირ თბილისის დინამოს 17 წლის ნახევარმცველმა ტექნიკურად შორეულ კუთხეში სცადა დარტყმა, მაგრამ სუსტად გამოუვიდა, მეკარემ იოლად აიღო...

ტორპედოელ გაბრიელ საღრიშვილს ორჯერ შეეძლო საქართველოს დაწინაურება. მეკარემ გადაარჩინაო გუნდი, ვერ ვიტყვით, შემტევს არ ეყო თავდამსხმელისთვის საჭირო ალღო, ინტუიცია და ცივსისხლიანობა...

იყო კიდევ მომენტები, სადაც ბოლო ფაზამდე მისვლა არ ხერხდებოდა. განსაკუთრებით მეტს ველოდით ბოლო 20 წუთში, როდესაც მეტოქე კაცნაკლული დარჩა. თუმცა, როგორც გითხარით, შეტევები ქაოტური გახდა...

ჩვენივე ჯგუფში ჩეხეთი შვედეთს დაუპირისპირდა. თამაში უფრო აქტიურად დაიწყეს შვედებმა, რის გამოც საწყის 15 წუთში ჩეხები მეტოქის ნახევარზე გადასვლას ვერ ახერხებდნენ. თანდათან ჩეხებმა უფრო თამამად და აზრიანად შეუტიეს და კონტრშეტევებით მეტოქეზე მეტი საგოლე მომენტი შექმნეს.

კარგი მატჩი ჩაატარა არა მხოლოდ დუბლის ავტორმა დანიელ ტურინამ, რომელმაც დუბლი მიითვალა. შვედეთი ამის შემდეგ გამოცოცხლდა და ვიქტორ დეკერეშმა შეამცირა. სკანდინაველებს გათანაბრებაც შეეძლოთ, როცა შეცვლაზე შესულმა ტედი ბერგკვისტმა ორიოდე მეტრიდან ცარიელ კარს თავურით ააცილა.

საბოლოოდ, ჩეხებმა 2:1 მოიგეს და პორტუგალიასთან ერთად ა ჯგუფში გალიდერდნენ.

# გერმანია კონფედერაციის თასის გამარჯვებულია

**ჩილე – გერმანია 0:1**

**სანკტ-პეტერბურგი. კრესტოვსკი**

0:1 შტინდლი (20)

**ჩილე:** ბრავო, ისლა, მედელი, ხარა, ბოსეჟური, არანგიზი (საგალი 81), დიასი (როსელი 53), ერნანდესი, ვიდალი, სანჩესი, ვარგასი (პუჩი 81)

**გერმანია:** ტერ შტეგენი, გინტერი, მუსტაფი, რუდიგერი, კიმიხი, შტინდლი, რუდი, ჰექტორი, გორეცკა (სულე 90), დრაქსლერი, ვერნერი (ჯანი 79)

ექსპერიმენტული ნაკრებით ჩავიდა გერმანიის ნაკრები კონფედერაციის თასზე და მისი გამარჯვებული გახდა. ბევრ ფეხბურთელს პირველად მიეცა შანსი ნაკრებში თამაშის და ეს კარგად გამოიყენეს.



გერმანიამ ფინალში საკმაოდ ძლიერი და გამოცდილი გუნდი დაამარცხა. ჩილელები პირველივე წუთიდანვე შეეცადნენ, თავიანთი ტრადიციული ფეხბურთი ეთამაშათ – ხისტად და აგრესიულად მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე, მაღალი პრესინგი და პირველივე შესაძლებლობისთანავე კარში დარტყმა.

გერმანიაც ცოტა დაბნეული გამოიყურებოდა საწყის წუთებში და ტერ შტეგენის კართან მომენტები იქმნებოდა. ბუნდესნაკრების მეკარეს განსაკუთრებით აწუხებდნენ ვიდალი, სანჩესი, ისლა. ჩილე გაერთო შეტევებში, დაკარგა კონცენტრაცია და უწყინარ სიტუაციაში დიასმა ბურთი ვერნერს ჩააბარა, რომელმაც ცარიელი კარის წინ დატოვა შტინდლი – მასაც ანგარიშის გახსნა არ გასჭირვებია. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ეს გოლი ერთადერთი და გადამწყვეტი გამოდგა.

დაწინაურების შემდეგ გერმანიის ნაკრები კომფორტულად გადაეწყო მეორე ნომრის როლზე და ტაიმიც მისთვის სასურველი შედეგით დაასრულა.

მე-2 ტაიმში ჩილე მოედანზე გაბრაზებული და ბრძოლაზე შემართული გამოვიდა. სწორედ ამ სამხრეთულმა ტემპერამენტმა იმოქმედა მათზე ცუდად – ბევრს ჯარიმდებოდნენ, კამათობდნენ მსაჯებთან, ჩხუბობდნენ მოწინააღმდეგესთან. ასე მიილია ტაიმის ნახევარზე მეტი. ბოლოსკენ ცოტა დალაგდნენ, ფეხბურთსაც მიაქციეს ყურადღება. საგოლე მომენტები კი ბოლო წუთებში შექმნეს, როდესაც საგალმა ახლოდან ვერ გაიტანა, ხოლო სანჩესის სახიფათო ჯარიმა ტერ შტეგენმა მოიგერია.

გერმანიის ნაკრებმა ბრძოლაში მოიგო ტიტული – ისტორიაში პირველად კონფედერაციის თასი...

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – მარკ ტერ შტეგენი

ალბათ გერმანელთა დაცვის ყველა წევრი იმსახურებდა ამ საუკეთესოს ტიტულს. თუმცა, რომ არა ტერ შტეგენი, ალბათ გერმანელთა კარში გოლი მაინც გავიდოდა. ამიტომაც გამოვარჩიეთ მეკარე...

**პორტუგალია-მექსიკა 2:1 (დდ)**

**მოსკოვი. ოტკრიტიე არენა**

0:1 ნეტუ (54სკ), 1:1 პეპე (90), 2:1 ადრიენ სილვა (104პ)

მე-16 წუთზე ანდრე სილვამ ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

**პორტუგალია:** რუი პატრისიუ, სემედუ, პეპე, ნეტუ, ელიზეუ, ჟელსონი, მოუტინიო (ადრიენ სილვა 82), პერეირა (ანდრე გომეში 82), პიცი (კარვალიო 90), ნანი (კვარეჟმა 70), ანდრე სილვა

**მექსიკა:** ოჩოა, ლაიუნი, მორენო, არაუხო, რეიესი, ერერა, მარკესი (ფაბიანი 106), გუარდადო (ჯონ. დოს სანტოსი 80), ველა, პერალტა (ლოზანო 61), ხავიერ ერნანდესი (ხიმენესი 85)

**გაძევება:** სემედუ (106), ხიმენესი (112)

პორტუგალიამ და მექსიკამ ამ ტურნირზე მეორედ აჩუქეს მაყურებელს სპექტაკლი. მეორედ გახდა ამ ტურნირზე საჭირო (4 მატჩში) გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი დრო.

პორტუგალიელები პირველ ნომრად თამაშობდნენ და სათამაშო უპირატესობასაც ფლობდნენ, მაგრამ 54-ე წუთზე მდევრის როლში აღმოჩნდნენ – ნეტუ, რომელიც პრაქტიკულად საკუთარი მაყურებლის (სანკტ-პეტერბურგის ზენიტის ფეხბურთელია) თვალწინ თამაშობდა, საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი.

პორტუგალიელი მცველი კოლეგამ იხსნა – პეპემ მატჩის ბოლოს, მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში გაათანაბრა და თამაში დამატებით დროში გადაიყვანა.

პირველი ოვერტაიმის მიწურულს პორტუგალიამ, რომელიც მოედანზე კაცნაკლული იყო, პენალტის უფლება მიიღო და ადრიენ სილვამ თავისი შანსი გამოიყენა – 2:1 და საფინალო სასტვენამდე ეს ანგარიში აღარ შეცვლილა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – რუი პატრისიუ

ორივე მეკარემ კარგად ითამაშა. ოჩოამ სულაც პენალტი მოიგერია, მაგრამ მისმა გუნდმა ამაგი ვერ დაუფასა. პარტისიომ კი ყველაფერი მოიგერია, რაც მექსიკელებმა დაარტყეს, ერთადერთი თავისიანის დარტყმულს ვერ მოუხერხა ვერაფერი, მაგრამ ეს მისი ბრალი სულაც არ იყო.

# ბ ნაკრებმა ჩინეთთან წააგო

ჩინეთში შეკრებაზე მყოფმა საქართველოს ბ ნაკრებმა პირველი მარცხი განიცადა. დავით უსტიაშვილისა და რამაზ გოგობერიშვილის გაწვრთნილი გუნდი ჩინეთის ნაკრებს შეხვდა. შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით – 95:68 დასრულდა.

ჩინეთის ნაკრებთან თამაში არ იგეგმებოდა, თუმცა მასპინძელთა ეროვნული გუნდი იმ პროვინციაში გადის შეკრებას, სადაც საქართველოს ნაკრები იმყოფება და პატივისცემის ნიშნად, ჩინელები ვარჯიშის ტოლფას ამხანაგური მატჩში ქართველებს დაუპირისპირდნენ.

მატჩი არაოფიციალური გახლდათ და ჩინეთის ნაკრებში 17-მა კალათბურთელმა ითამაშა. მასპინძლებს ნომრიანი მაისურებიც კი არ ეცვათ. შესაბამისად, არ იწარმოებოდა არც სტატისტიკა და ვის რა მონაგარი დაუგროვდა, ინფორმაცია არ არსებობს. საქართველოს ნაკრებში ყველა იმ კალათბურთელმა ითამაშა, რომელიც შეკრებაზე იმყოფება.



# ბერძენ რომაელთა ასპროცენტიანი მედლები




გერმანიის ქალაქ დორტმუნდში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ტრიუმფალურ შედეგს მიაღწია, სოსო ჯაბიძის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებმა რვავე წონით კატეგორიაში შეძლო მედლის მოპოვება და გუნდური პირველი ადგილი დაიკავა.

რამაზ სილაგავა (50 კგ), ლერი აბულაძე (60 კგ) და ზვიად პატარიძე (120 კგ) ევროპოდიუმის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ, გიორგი კურტანიძე (66 კგ) ვერცხლს დასჯერდა, ხოლო ნუგზარ წურწუმიამ (55 კგ), ბექა მამუკაშვილმა (74 კგ), თემურ ჭკუასელიძემ (84 კგ) და გიორგი ბარბაქაძემ (96 კგ) ბრინჯაოს მედლები ირგუნეს.

ყველაზე შედეგიანად ნაკრების ლიდერმა ზვიად პატარიძემ იჭიდავა. ქართველმა მძიმეწონოსანმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თავის ასაკობრივ ჯგუფში ტოლ-სწორი მეტოქე არ ჰყავს და ევროპის ჩემპიონი ზედიზედ მეოთხედ გახდა.

ფინალის გზაზე პატარიძემ თურქი იაკუპ იერლიკაია (8:0), აზერბაიჯანელი თეჰრან ამინზადე (8:0) და რუმინელი ლენარდ იშტვან ბერეი (7:1) ჩამოიშორა. გადამწყვეტ ბრძოლაში კი რუსეთის ნაკრების წევრ გეორგი გაჯიევს წუთსა და 8 წამში მოუმთავრა საქმე (8:0).

რამაზ სილაგავამ საჩემპიონო გზაზე მოლდოველი არტემ დელეანუ (7:0), სომეხი აშოტ მხითარიანი (4:1), თურქი ქემალ მუთლუ (14:11) და აზერბაიჯანელი ზულფიგარ ალიევი (5:1) ჩამოიშორა.

ლერი აბულაძემ ფინალამდე რუმინელ ტეოდორ ჰორატაუს (3:1), ბელარუს მაქსიმ ნეჰოდასა (2:1) და სომეხ ჰრაჩა პოღოსიანს (1:1) აჯობა. საჩემპიონო ბრძოლაში კი შვედეთის ნაკრების წევრი არდიტ ფაზლიია (6:4) დაამარცხა.

ოქრომდე ცოტა დააკლდა კურტანიძეს – 66 კილოგრამში მოჭიდავე ქართველმა ევროპირველობა გერმანიის ნაკრების წევრ არტურ ტატარინოვთან სასურველი ფრით (6:6) დაასრულა, შემდეგ მეტოქეებს კი გაცილებით იოლად აჯობა ჩეხ იაკუბ ბიელესს (10:1) და რუს სერგეი სტეპანოვს (11:1).

ფინალში კი კურტანიძე უკრაინის ნაკრების წევრ პავრიზ ნაბისოვთან 0:4 დამარცხდა და ვერცხლს დასჯერდა.

წურწუმიამ ოქროს მედლისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსი ნახევარფინალში დაკარგა, რუსეთის ნაკრების წევრ ემინ ნარიმანოვიჩ სეფერშაევთან წაგებით (0:9). მანამდე კი გერმანელი ალექსანდერ გინცი (6:1) და ფინელი მატიას ტერო ალარიკ პოუტანენი (10:0) დაამარცხა. რეპეშაჟის ფინალში კი რუმინალ რაზვან არნაუს აჯობა (8:0).

ჭკუასელიძემ ბულგარელი სვეტოსლავ ნიკოლაევ ნიკოლოვის ძლევის (7:2) შემდეგ, ძირითად ბადეში გამოსვლა მეოთხედფინალში დაასრულა, ბელარუს მიკიტა კლიმოვიჩთან წაგებით (2:8). ბრინჯაოს გზაზე კი 2 მეტოქე ჩამოიშორა – იტალიელი ანტონიო მალანგონე (9:1) და აზერბაიჯანელი თუნჯაი ვაზირზადე (15:8).

მამუკაშვილმა მეოთხედფინალში მომავალ ჩემპიონთან, რუსეთის ნაკრების წევრ ნარეკ ოგანიანთან წააგო (2:7). იქამდე სერბი ალექსა ერსკის ძლევა (6:5) მოასწრო. ბრინჯაოს გზაზე კი აზერბაიჯანელ ულვუ განიზადეს (3:1) და უნგრელ დომინიკ გეგენის (5:1) მოუგო.

ბარბაქაძემ იტალიელი ლუკა გოდინოსა (2:1) და ბელარუსი ბოპემბე არსენ სიჩევის (6:6) ძლევის შემდეგ, ოქროს მედლისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსი ნახევარფინალში დაკარგა, თურქ სულეიმან ერბაისთან მარცხით (2:6). რეპეშაჟის ფინალში კი შვეიცარიელ დამიან ვონ ეუვს (2:0) აჯობა.

# კარატისტების 2 მედალი

ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში მსოფლიოს მეექვსე ჩემპიონატი ჩატარდა შინკიოკუშინკაი კარატეში, სადაც საქართველოს ნაკრებმა ორი მედალი მოიგო: ვერცხლი და ბრინჯაო.

მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ანდრო ზინჩენკო (65კგ) გახდა, მიხეილ წიკლაურმა (70კგ) კი მესამე ადგილი დაიკავა. მედლები მამაკაცებსა და ქალებში ოთხ წონით კატეგორიაში გათამაშდა. საერთო ჯამში, მსოფლიოს მეექვსე ჩემპიონატში 72 ქვეყნის 196 კარატისტი მონაწილეობდა.

ანდრო ზინჩენკო ევროპის ორგზის ჩემპიონი და კონტინენტის პირველობის ერთი ვერცხლის მედლის მფლობელია. მეორე ოქროს მედალი ზინჩენკომ შარშან, თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მოიგო. რაც შეეხება მიხეილ წიკლაურს, მან ევროპის ჩემპიონატი 2009 და 2011 წლებში მოიგო, შარშან კი თბილისში მესამე ადგილი დაიკავა.

# შედეგები

**2 ივლისი**

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **კონფედერაციის თასი – ფინალი** | |
| ჩილე-გერმანია | 0:1 |
| **მე-3 ადგილისთვის** | |
| პორტუგალია-მექსიკა | 2:1 |
| **შვედეთი. ალსვენსკა** | |
| იონჩოპინგი-გიოტებორგი | 0:2 |
| აიკი-ესტერსუნდი | 2:2 |
| იორებრო-ნორჩიოპინგი | 4:2 |
| **ნორვეგია. ელიტსერია** | |
| მიოლდე-ვიკინგი | 3:2 |
| სანდერფიორდი-სტაბეკი | 1:2 |
| ოდ გრელანდი-სარპსბორგი | 0:0 |
| ჰაუგესუნდი-ტრომსო | 2:0 |
| ბრანი-ვალერენგა | 0:0 |
| **ფინეთი. ვეიკაუსლიგა** | |
| ვაასა-მარიეჰამნი | 0:0 |
| ინტერი-ჰიკი | 1:1 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა



# რა იწვევს ხერხემლის ტკივილს

ეკა ირემაშვილი

ტკივილი სერიოზული პრობლემაა და ის სხვადასხვანაირია. თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს ნეიროქირურგიული მიმართულების ხელმძღვანელი, გოგი მაღალაშვილი ტკივილებსა და ხერხემლის პრობლემებზე საუბრობს.

გოგი მაღალაშვილი:

– ტკივილი სერიოზული პრობლემაა. ნეიროქირურგიასთან შეიძლება დაკავშირებულია იყოს თავის ტკივილი, შეტევითი ხასიათის ტკივილები, მწვავე ტკივილები.

არსებობს რამდენიმე დაავადება, რომლის ტკივილის ფენომენის განეიტრალება მხოლოდ ნეიროქირურგს შეუძლია. ეს არის სამწვერა ნერვის ნევრალგია, ტრიგემინალური ნევრალგია, ეს არის დაავადება, რომელიც დღეს უკვე ისეთი ნორმაა, რომელსაც არანაირად არ შეიძლება კონკურენცია გაუწიოს სხვა რაიმე ტექნოლოგიამ მთელ მსოფლიოში, მხოლოდ ნეიროქირურგები შველიან და შველიან არა 5-10 პროცენტში, არამედ 99.9% ავადმყოფების ტრიგემინალური ნევრალგიით ნეიროქირურგიული ოპერაციის შედეგად იკურნებიან.



– რასთან არის დაკავშირებული თავის პერიოდული ტკივილები?

– პერიოდული თავის ტკივილები დაკავშირებულია განვითარების მანკებთან, ქალას ძვლების გარკვეულ უბანში სივიწროვესთან.



არნოლდ კიარის მალფორმაციის დროს ძალიან მარტივი ოპერაცია თავის ტკივილების შეტევებს ხსნის. სიტყვა „მალფორმაცია“ განვითარების მანკს ნიშნავს.

– რას იტყვით მწვავე ტკივილებზე?

– მწვავე ტკივილები შეიძლება გამოიწვიოს თავის ტვინში ანევრიზმის გასკდომამ, არტერიოვენოზური მალფორმაციის გასკდომამ, კავერნომის გასკდომამ. შეიძლება იყოს გიდროცეფალია, ე.წ. წყალმანკი თავის ტვინის, რომლის დროსაც ერთადერთი გამოსავალი მხოლოდ შუნტირებაა.

– საკმაოდ ხშირია წელისა და ხერხემლის ტკივილები.

– ხერხემლის და წელის ტკივილებიც ნეიროქირურგის კომპეტენციაში შედის. ამ შემთხვევაშიც ტკივილები შეიძლება იყოს როგორც მწვავე, ასევე ქრონიკული და სხვადასხვა დაზიანებით გამოწვეული.

ხერხემალი, როგორც დამცავი მექანიზმი, ძვლოვანი სტრუქტურაა ნერვული სისტემის, მასში მოთავსებული ზურგის ტვინის და ფესვების. ის დაცვის აბჯარს წარმოადგენს ნერვული სისტემისა. თუმცა ხერხემალი შეიძლება თვითონაც დაზიანდეს.

არის შემთხვევები და ძალიან დიდი პროცენტი 80-90 პროცენტ შემთხვევაში ჩვენ ამა თუ იმ პათოლოგიების დროს ვშველით პაციენტებს, მაგრამ ზოგჯერ არის ისეთი შემთხვევები, როცა პრობლემის სირთულიდან გამომდინარე, ყველაფერი ისე არ არის, როგორც ჩვენ გვინდა. შეიძლება ამ დროს შველა ან ნაკლებ ეფექტური იყოს, ან ზოგიერთ შემთხვევაში უეფექტოც კი.

– რა არის ამ დროს გამოსავალი?

– ამ შემთხვევაშიც არის გამოსავალი. როცა არის ინკურაბელური ტკივილები ხერხემლიდან გამომდინარე, ძალიან ძვირი ღირს ეს ტექნოლოგიები და შეიძლება საქართველოში ასე ფეხმოკიდებული არ არის, მაგრამ არსებობს სპეციალური იმპლანტაციები ზურგის ტვინში, მარეგულირებელი მოწყობილობა კანქვეშ აქვს ავადმყოფს, ელექტრული იმპულსი გადის ზურგის ტვინში და რამდენიმე საათით ტკივილი გადის. არის ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების აპლიკაციები კანზე, მაგრამ ეს ჩვენთან მიღებული არ არის.

– რა იწვევს ხერხემლის ტკივილს?

– ხერხემლის ტკივილები შეიძლება გამოწვეული იყოს თვითონ ხერხემლის ან მადეფორმირებელი ან თანდაყოლილი ან შეძენილი პათოლოგიებით, ასევე შეიძლება გამოწვეული იყოს ზურგის ტვინის სიმსივნეებით, ზურგის ტვინის არტერიოვენოზური მალფორმაციებით, კავერნომებით, ვენური მალფორმაციებით, ეს თანდაყოლილი პათოლოგიაა. ასევე შეიძლება გამოწვეული იყოს ინფექციური დაავადებებით ხერხემლის, დავუშვათ ძვლის ტუბერკულოზი, ჩირქოვანი ანთება, სახსრის ანთება...

ძირითადი მასა, რომელიც მოგვმართავს ნეიროქირურგებს, ეს არის დისკოგენური პათოლოგია, წელის დისკების სხვადასხვა ტიპის დაზიანებები, რის გამოც ტკივილი ვითარდება.

# დეა ადამიას უჩივლეს



რეალური შოუ „ჯეობარის“ ვარსკვლავ დეა ადამიას ისანი-სამგორის პოლიციაში უჩივლეს.

ამის მიზეზი რამდენიმე დღის წინ მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა გახდა, როდესაც დეა ადამია ქსნის ქუჩაზე მოძრაობდა და გურამიშვილის გამზირით გლდანში მიემართებოდა, სადაც ახალი ობიექტი უნდა გაეხსნა. მისი განცხადებით, ქსნის ქუჩაზე გადაუსწრო ბეემვეს მარკის იქს ხუთმა, რომელმაც მოულოდნელად დაუმუხრუჭა და დეას უკნიდან დაარტყმევინა:

– ქსნის ქუჩაზე გამისწრო იქს ხუთის ბეემვეს მარკის ავტომანქანამ, თურმე პარლამენტარია, ბიუროს თავმჯდომარე, თურმე ბიუროს უფროსია ლევან კობერიძესთან და მისი სახელით იმუქრებოდა ვინმე ქეთევან გვიშიანი. გამისწრო სიგნალებით გურამიშვილის ქუჩისკენ მიმავალს, დაამუხრუჭა და უკნიდან დამარტყმევინა. როცა გადმოვიდა მანქანიდან, პირდაპირ თავს დამესხა, სიტყვიერი და მორალური შეურაცხყოფით. უნდოდა, ალბათ, ჩემი გამოწვევა, რომ ფიზიკურად შევხებოდი. როგორც სულიერად განათლებული გოგო, ეგეთ გოიმს ნამდვილად არ ავყვებოდი. გადმოვედი მანქანიდან, ვუთხარი, შენ დამიმუხრუჭე, მაგრამ გაძლევ ახლავე ფულს, 500 ლარი გინდა? გშია? კი ბატონო, გაძლევ ფულს, ოღონდ მოვგვარდეთ ახლავე, როგორც გოგოები, ვისაუბროთ ცივილიზებულად და გაგიკეთებ მანქანას-მეთქი. ამას მოჰყვა ერთი ამბავი, შენ ის არ ხარ, 6 წლის წინ ვიღაც გოგონას რომ იცავდი და ინტერნეტ სივრცეში მლანძღე, მაგინე, მწყევლეო. ამ გოგომ დამიწყო კაჩაობა, საუბარი ჟარგონით, ჩემი ძმა დავით გვიშიანი პარლამენტში აპარატის უფროსიაო. ფეხებზე მკიდიხართ, ჩემი უფროსი არის მაღალი ღმერთი თქვენს პარლამენტზე, თქვენს ბიძიკოებზე, თქვენს ბიძოებზე, ბიძინიკოებზე, ენძელებზე და ენძელიკოებზე მაღალია და ყოვლისშემძლეა.

ინფორმაცია საჩივართან დაკავშირებით დეამ თავად გაავრცელა:

– ვინმე ქეთევან გვიშიანს გვიან გაახსენდა, რომ სიტყვიერი შეურაცხყოფა მივაყენე და თურმე ისანი-სამგორის პოლიციაში საჩივარი შეუტანია. მეტი ვერაფერი მოიფიქრე ქეთუსია? მიმიფურთხებია შენს ქალობაზე.

კალეიდოსკოპი

# ბრიტანელმა მსოფლიოში ყველაზე დიდი სპინერი დაატრიალა




ბრიტანელმა გამომგონებელმა ტონი ფიშერმა უზარმაზარი სპინერი დაამზადა. სათამაშოს დიამეტრი 3,3 მეტრს შეადგენს, ხოლო წონა – 20 კილოგრამს. სხვა მხრივ ის არაფრით განსხვავდება სხვა ჩვეულებრივი ზომის სპინერებისგან. თავად გამომგონებელმა იუთუბიზე გამოაქვეყნა ვიდეო, რომელზეც ასახულია, თუ როგორ ასწია თავს ზევით და დაატრიალა სპინერი.

ფიშერის აზრით, მან მსოფლიოში ყველაზე დიდი სპინერი დაამზადა. ის აღიარებს, რომ ამ ტიტულის მოპოვების სხვა პრეტენდენტებიც არსებობენ, თუმცა მათ კონკურენტებად არ თვლის.

– ზოგიერთი უბრალოდ შეღებილი მუყაოა და მეტი არაფერი, – წერს ფიშერი, – თუ ასეთი რამ მისაღებია, მაშინ რატომ არ შეიძლება, რომ ქარის წისქვილსაც სპინერი დავარქვათ?

გამომგონებელს სჯერა, რომ მის ქმნილებას ოფიციალურ რეკორდად აღიარებენ.

# ამერიკელი აეროპორტის თანამშრომლების მიერ მის კიბორჩხალასთან სურათის გადაღებამ გააბრაზა



ამერიკის კონექტიკუტის შტატის ქალაქ ოლდ სეიბრუკში მდებარე ზღვის პროდუქტების მაღაზიის მფლობელმა მკაცრად გააკრიტიკა ბოსტონის აეროპორტის ტრანსპორტის უსაფრთხოების დაცვის ფედერალური სამმართველოს თანამშრომლების ქმედება, რომლებმაც მისი ბარგიდან შემოწმების დროს უზარმაზარი კიბორჩხალა ამოიღეს და მასთან სურათი გადაიღეს. ამის თაობაზე ინფორმაცია ლიზა ფაინმანმა ფეისბუქში საკუთარი მაღაზიის გვერდზე დაწერა. ქალი თქმით, ყველაზე მეტად ის იმ ფაქტმა აღაშფოთა, რომ აეროპორტის თანამშრომლებმა 12 სხვა კიბორჩხალა იმისთვის ამოიღეს ბარგიდან, რომ ყველაზე დიდამდე მიეღწიათ. მისი თქმით, ისინი სპეციალურად ეწყო ზევიდან.

ფაინმანმა ასევე აღნიშნა, რომ ტრანსპორტის ადმინისტრაციის თანამშრომელმა არ იცის, თუ როგორ უნდა მოეპყრას კიბორჩხალას და ამიტომ შესაძლოა ის დაეზიანებინა.

კიბორჩხალასთან გადაღებული ფოტოსურათი ტვიტერში საკუთარ გვერდზე აეროპორტის ტრანსპორტის უსაფრთხოების დაცვის ფედერალური სამმართველოს თანამშრომელმა მაიკლ მაკარტიმ განათავსა.

## ასტროპროგნოზი
4 ივლისისათვის



**ვერძი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. გარშემომყოფების დარწმუნებასა და თქვენ მხარეს გადაბირებას მშვენივრად ახერხებთ. **კურო** – ეს დღე სულიერ წონასწორობასა და სიმშვიდეს გპირდებათ. აგიმაღლდებათ შრომისუნარიანობა. **ტყუპები** – თუ პრობლემის მოგვარებას არასტანდარტული გზით შეეცდებით, სასურველ შედეგს მიიღებთ. პარტნიორები მხარს გიჭერენ. **კირჩხიბი** – ინტიმურ სფეროში იმარჯვებთ. არ არის გამორიცხული, ახალი გატაცება გამოგიჩნდეთ. **ლომი** – დაძაბული დღეა. კოლეგებთან კონფლიქტი დიდ ენერგიას წაგართმევთ. შესაძლოა, ქრონიკული დაავადებები გაგიმწვავდეთ. **ქალწული** – იღბლიანი დღეა. ფორტუნა გიღიმით, მაგრამ გახსოვდეთ – უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია. **სასწორი** – ყოველგვარი უსიამოვნების სათავე თქვენი ზედმეტად მგრძნობიარე ბუნებაა. ეცადეთ, იყოთ ტაქტიანი და მომთმენი. **ღრიანკალი** – თუ პარტნიორებმა ახალი საქმე შემოგთავაზეს, მაშინვე ნუ დათანხმდებით. შედეგი გაურკვეველი იქნება. **მშვილდოსანი** – პროფესიულ საქმიანობაში წარმატებას მიაღწევთ. ამაში პასუხისმგებლობის გრძნობა და ორგანიზატორული ნიჭიც დაგეხმარებათ. **თხის რქა** – დათრგუნეთ სიამაყე და ეგოიზმი. ეცადეთ, თავი სხვის ადგილას დააყენოთ. ასე სწორი გადაწყვეტილების მიღება არ გაგიჭირდებათ. **მერწყული** – დროა, სიტუაცია შეიცვალოთ. გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე, დაიტვირთეთ ფიზიკურად. **თევზები** – მთლიანობაში, კეთილისმყოფელი დღეა. ჩანაფიქრის რეალიზებაში ხელი არ შეგეშლებათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ფრანგი მხატვარი, ფოტოგრაფიის ერთ-ერთი გამომგონებელი; 2. ხორცის ნახარში; 3. ნივთიერების დაშლა სინათლის ზემოქმედების შედეგად; 4. კვალიფიკაციის ასამაღლებლად მივლინებული პირი; 8. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 9. ოფიციალური სახელმწიფო რელიგია იაპონიაში; 11. წმინდანად შერაცხული ქართველი მეფე; 12. ესპანელი სიურეალისტი მხატვარი; 14. მუშაობის, ენერგიის საზომი ერთეული ფიზიკაში; 16. სხეულის რიტმული, მოხდენილი მოძრაობის ხელოვნება; 17. სპეციალური, პატარა, სარბოლო მანქანა; 19. კურკოვანი ხილი; 21. ზღვისპირა ფრინველი.

**თარაზულად:** 5. განუწყვეტელი შეტევა კრივში; 6. ბერძნული ფილოლოგიის სპეციალისტი; 7. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ცისფერი ძვირფასი ქვა; 13. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი მამაკაცი; 15. მოკლე დისტანციებზე მოასპარეზე სპორტული ცხენი; 18. სისხლის თხევადი ნაწილი; 20. უწყინარი ხასიათის დაცინვა; 22. ქალაქის თავი ჩეხეთში; 23. ივლისის თვის ქართული სახელწოდება; 24. თეთრყურძნოვანი ვაზის გერმანული ჯიში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. ქიმერა; 7. რენეგატი; 8. რასტრი; 10. პორშე; 11. შამპინიონი; 13. ჰონორარი; 16. ბადაგი; 19. ოპტიმუმი; 20. ჩემპიონი.

**შვეულად:** 1. მირანდა; 2. არარა; 3. მედისონი; 4. აგათონი; 5. ფიუზელაჟი; 9. მაიორი; 12. მარტინი; 14. ორესტე; 15. რიფი; 17. გრემი; 18. გორი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. აბანოზი; 2. იზა; 3. აბა; 4. ზი; 5. კაკადუ; 6. ედი; 7. ერა; 8. წუა; 9. ალა; 10. რემა; 11. თოლიგე; 12. ბოა; 13. თეორემა; 14. სინუსი; 15. ანტი; 16. ოთხწლედი; 17. კაა; 18. კასიო; 19. ინა; 20. იმერეთი; 21. ნისტაგმი; 22. ნარგილე; 23. იოკასტე; 24. კოინდარი; 25. სინდიოფალა; 26. არაბია; 27. სინოპე; 28. იან; 29. ანგინა; 30. რიგი; 31. რაე; 32. იაკი; 33. აბი; 34. გორილა; 35. მენელაე; 36. მელ. *სურათებზე:* ემი ადამსი; გეორგიოს სამარასი.

# ნიკოლოზ ბარათაშვილის 200 წლის იუბილე მთაწმინდაზე აღინიშნა

მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში რომანტიკოსი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის 200 წლის იუბილე აღინიშნა. ღონისძიების ორგანიზატორი საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება“ და მისი პრეზიდენტი ბონდო კობაძე იყვნენ.

მთაწმინდაზე ფონდის ხელმძღვანელმა 50 ადამიანი ეროვნულ სახელმწიფოებრივ საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის საპატიო სიგელით დააჯილდოვა, მათ შორის მომღერლები, პროფესორები, აკადემიკოსები, რეჟისორები, მწერლები, პოეტები, ფეხბურთელები, მოცეკვავეები. ფონდის საპატიო სიგელები გადაეცათ გარდაცვლილი ხელოვანების რეზო ჩხეიძის, ზინაიდა კვერენჩხილაძის, გიგა ლორთქიფანიძის, ეთერ კაკულიას, მერაბ ბერძენიშვილის, ემირ ბურჯანაძის, ჟიული შარტავას და ლორიკ მარშანიას ოჯახებსაც.



ნიკოლოზ ბარათაშვილის 200 წლის საიუბილეო სამზადისში ჩაერთო უცხოეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი ავთანდილ ბარათაშვილი, რომელმაც საიუბილეო ღონისძიების ორგანიზატორს ბონდო კობაძეს სიცოცხლის ბოლომდე ყოველთვიური 500 ლარიანი სტიპენდია დაუნიშნა. მისივე ხელშეწყობით გამოიცა 750 გვერდიანი წიგნი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. წიგნის ყდის დიზაინზე გარდაცვალებამდე იმუშავა მხატვარმა ემირ ბურჯანაძემ.

მთაწმინდის პანთეონიდან სახალხო დღესასწაულმა რუსთაველის თეატრში გადაინაცვლა. ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ ისაუბრეს აკადემიკოსებმა, პროფესორებმა, პოეტებმა, მწერლებმა. მხატვარმა გია მარკოზაშვილმა კი შექმნა სურათი „ნიკოლოზ ბარათაშვილი 200“. სურათი სპეციალურად ამ საიუბილეო დღისთვის დამზადებულ ტრანსპარანტთან ერთად ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმს გადაეცემა. სპეციალურად ამ საიუბილეო თარიღისთვის ჩამოისხა თეთრი ღვინო წინანდალი და წითელი ღვინო მუკუზანი „ნიკოლოზ ბარათაშვილი 200“.

ნიკოლოზ ბარათაშვილის 200 წლის იუბილეს აღნიშვნას დაემთხვა ფონდის საქმიანობის 30 და მისი პრეზიდენტის 70 წლის იუბილეები. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ფონდის ხელმძღვანელს საპატრიარქოს საპატიო სიგელი მიანიჭა, მწერალთა კავშირმა კულტურის ამაგდარის წოდება გადასცა, საერთაშორისო ასოციაციამ საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის საპატიო სიგელით დააჯილდოვა, ლაგოდეხის გამგეობამ კი ლაგოდეხის საპატიო მოქალაქეობა მიანიჭა.

ფონდი „მამულიშვილთა გახსენება“ მომავალ წელს სულხან-საბა ორბელიანის დაბადებიდან 360 წლის იუბილეს აღნიშნავს.

## ეკა ხოფერია: „პრესკონფერენცია არ იქნება!“



ბოლო დღეებია საზოგადოება ტელეკომპანიებში მიმდინარე გადაადგილებებზე საუბრობს. მაია ასათიანის, გიორგი ხაბურზანიასა და დემნა ჯაფარიძის დუეტის შემდეგ, მორიგი აქტუალური თემა ეკა ხოფერიას მიერ ტელეკომპანია „იმედის“ დატოვებაა.

ჟურნალისტი ეკა ხოფერია გავრცელებულ ინფორმაციას, რომ მან ტელეკომპანია „იმედი“ დატოვა, მოკლე განცხადებით ეხმაურება:

– პრესკონფერენცია არ იქნება. დეტალები ივლისის „სითიში“.

ეკა ხოფერია ტელეკომპანია „იმედზე“ გადაცემის წამყვანის პარალელურად, ჟურნალ „სითიშიც“ მუშაობს. ის ჟურნალის რედაქტორია და ერთდროულად ორ საქმეს უძღვება. დატოვა თუ არა ტელევიზია ჟურნალის გამო ეკა ხოფერიამ, ამას დაინტერესებული საზოგადოება ჟურნალის გამოსვლისას შეიტყობს.

## თოჯინების თეატრში აუდიტის სამსახური შევიდა

გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრში აუდიტის სამსახური შევიდა. ინფორმაციას ამის შესახებ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ელენე მაცხონაშვილი ავრცელებს და კულტურის მინისტრს ღია წერილით მიმართავს:

– ბატონო მინისტრო, რა თქმა უნდა, სრულად ვაცნობიერებ, რომ ეს წერილი მინიმუმამდე დაიყვანს სამხატვრო ხელმძღვანელების შესარჩევ კონკურსში ჩემი გამარჯვების შანსებს და, ნაცვლად ამ წერილისა, ახლა ყველა ლოგიკით თეატრის განვითარების სამომავლო გეგმას უნდა ვწერდე და მაინც...

თანმიმდევრულობა მოითხოვს ისევ გავიმეორო – ასეთი კარგი კულტურის მინისტრი თოჯინების თეატრს არასდროს ჰყოლია. მოკლედ და ფაქტების კვალდაკვალ – 2017 წლის იანვარში, ისევე, როგორც ყველა სახელმწიფო თეატრს, ჩვენც შეგვიმცირდა ბიუჯეტი 10%-ით, რაც ჩვენი თეატრის შემთხვევაში, მხოლოდ სახელფასო ფონდს შეადგენს. გათავისუფლებული თანამშრომლებიდან ორმა სასამართლოს მიმართა, რაც სრულიად ნორმალური და ჯანსაღი ფორმაა შრომითი დავის გადასაჭრელად. ამ ადამიანებმა ასევე მიმართეს სახალხო დამცველს და კულტურის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს, რის საფუძველზეც თოჯინების თეატრში ინსპექტირება ჩატარდა. ინსპექტირების დასრულებიდან ერთი თვის შემდეგ გადმოგვეცა ერთობ ლირიული, ცალსახად სუბიექტური და, რაც მთავარია, საფუძველს მოკლებული დასკვნა, რომელსაც კატეგორიულად არ ვეთანხმები რიგი მიზეზების გამო.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## პროგრამა

**სამშაბათი 4 ივლისი**

07.00 დოკ/ფ "ორი გაუმაძღარი იტალიელი" 08.00 "მადაგასკარის პინგვინები" 09.00 "მოამბე დილას" 10.00 "პირადი ექიმი 11.00, 19.00 ტ/სერ. **"ძველი ხიდის საიდუმლო"** 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "ტელემანი" 12.45 "კაცების დრო" 13.50 "გურმანია" 14.20 დოკ/ფ 15.00, 02.50 C-სტუდია 16.00 "მოამბე" 16.30 "დღე მუზეუმში" 17.00, 03.50 "რეალური სივრცე" 18.30 "ტელებლოგი" 20.40 "სპორტის დაფა" 21.00 ტ/სერ. **"ველვეტი"** 22.00 სპორტული თოქ-შოუ . სპორტი 360 23.00 მხ/ფ **"თარჯიმანი"** (შ.პენი) 01.05 მხ/ფ **"ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონი"**

08.00 დოკ/ფ "ინკების მარილი" 09.00 დოკ/ფ "ჯანმრთელობა ევროპაში" 10.00 "გეოფაქტორი" 10.15 "აფხაზეთი" 11.00 დოკ/ფ "ზეთი სიამაყე" 12.00, 22.00 ტ/სერ. **"კედრის ყურე"** 13.00 ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 14.00 დოკ/ფ "ლურჯი დუნაი და გარეული ცხენები" 15.00 დოკ/ფ "ვატიკანის ნამდვილი ძალაუფლება" 17.00 დოკ/ფ "ზერები ლაბორატორიაში" 18.00 დოკ/ფ "ევროპა XX დამალული ეპიდემია" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "არგუმენტების დრო" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.00 "ნამდვილი დრო" 00.30 ტ/სერ. **"კატერინა და მისი ქალიშვილები"**

05.50, 14.40 სერ. **"ელიფი"** 07.30 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.30 ქრონიკა 08.20, 09.20 იმედის დილა (გაგრძელება) 10.05 სერ. **"პატარძალი"** 11.20 სერ. **"ფიცი"** 12.30 იმედის დღე 17.35 სერ. **"სტამბოლის ორი სახე"** 18.45, 19.03 სერ. **"მოპარული ცხოვრება"** 20.55 სერ. **"ძმა"** 1 სერ. 22.00 ცოდნა ფულია 23.30 მხ/ფ **"ცოფიანი ძაღლები"** 01.30 მხ/ფ **"შეუსრულებელი მისია 3"** 03.45 მხ/ფ **"შეყვარებულები"**

06.00, 18.30 სერ. **"შენი ზოდიაქოს ფერი"** 06.45, 20.03 სერ. **"დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა"** 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. **"მფარველი ანგელოზი"** 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. **"ფერიჰას საიდუმლო"** 15.30 სერ. **"ინდური საგა"** 16.55 სერ. **"დაკარგული წლები"** 20.50 ლოტო 22.00 არჩევანი

09.00 სერ. ""**ერთხელ ზღაპარში**" 13.00 სერ. **"მოტივი"** 15.00 სერ. **"ანტიმაფია"** 17.00 სერ. **"კრიმინალური აზროვნება"** 19.00 სერ. **"შავი სია"** 21.00 სერ. **"მაფიოზა"** 22.30 მხ/ფ **"ჰარი პოტერი და ფენიქსის ორდენი"** 01.00 მხ/ფ **"ჰარი პოტერი და ნახევარპრინცი"** 03.55 მხ/ფ **"ჰარი პოტერი და სიკვდილის საჩუქრები** - I ნაწ. - II ნაწ.

08.00 ანანდა 08.15 მულტფილმი 08.30 სერ. **"ღმერთების ხელდასხმული"** 09.20 მულტ/სერ. "დინოფროზი" 09.50, 22.35 სერ. **"სიყვარულსა და შიშს შორის"** 10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.20, 22.25 ტელემარკეტი 11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 2.30 ახალი ამბები 11.25 დოკ/ფ "ბრძოლა არსებობისთვის" XVII ნაწ. 11.50 ავტომანი 12.05 მოდი გავიყაროთ 13.00, 04.00 ბიზნესკოდი 15.00 3-დან 5-მდე 16.25 დოკ/ფ "როდოსი" 18.00, 0.00 ფაბრიკა 19.55 მე რომ ვიყო 20.00, 03.00 პრიორიტეტი 21.30 კრაზანა 1.00 მხ/ფ **"მწვანე ქუჩის ბიჭები"**

06.10 სპექტაკლი **"კავკასიური ცარცის წრე"** III, IV 17.40 დ/ფ "ველური ბუნება"-გნუების გადასხმა" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 10.45 პატერიკი-მოწყალე ერისკაცის შესახებ 10.40 დ/ფ "იაკობ გოგებაშვილი-ცხოვრება და მოქალაქეობა" 11.40 საეკლესიო აღმშენებლობა 12.10 მოკ. მხ/ფ **"აპრილი"** 12.30 საქართველო ევროპულ ოჯახში 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.40 გამოყენებითი ხელოვნება "დეკორატიული ხელოვნება" 15.05 ქართული ან/ფ 15.15 დ/ფ "ველური ბუნება-ჰუანგის სპილოები" 15.45 კონცერტი 16.30 სიმღერის კვალდაკვალ "ბასიანი" 17.10 ქრისტიანული ხელოვნება "ჯვარცმის იკონოგრაფია" 18.10 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10 სიახლენი 19.20 სამყაროს შექმნა 19.30 კვირიაკის სიუჟეტი "იასამანი სულით ატარე-ანზორ სალუქვაძე" 20.00 ღია აუდიტორია "მინდია უგრეხელიძე" 2 20.40 ძილი ნებისა "ნ/ფ. ძაღლუკები" 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 22.25 ჩვენი ფონდი "წმინდა მოწამენი, საქართველოს მეფენი არჩილი და ლუარსაბი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.40 ივერიის ეკლესია "ნიქოზის სამწყსო ჩრდილოეთ კავკასიაში" 00.30 საღვთისმეტყველო საუბრები 01.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# სამგლოვიარო განცხადებები



ისტორიული სამეგრელოსა და აფხაზეთის ნაღები ინტელიგენცია, ქარდავებისა და კაჭარავების უახლოესი ნათესაობა და მეგობრები გულისტკივილით იუწყებიან მაღალი რანგის დასტაქრის (ექიმ-კოსმეტოლოგი), მოსკოვის ინტენშარმსტუდიო „სალის“ დირექტორის, ღვთაებრივი ახალგაზრდა დედის, ფიზიკური სრულყოფილებისა და ფაქიზი სულის ქალბატონის

**სალომე ზურაბის ასულ ქარდავა-კაჭარავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის მეუღლეს, შვილებსა და მშობლებს.

ქალბატონი სალომე იყო ფიზიკურად მშვენიერების განსახიერება, მოსკოვის ინტელიგენციასთან ურთიერთობაში განსაკუთრებული თვისებებით დაჯილდოებული.

ღვთაებრივი სილამაზის, მაღალი რანგის პროფესიონალს უამრავი თაყვანისმცემელი და მეგობარი ჰყავდა მრავალმილიონიან მოსკოვის საზოგადოებაში, რაც ქართულ-რუსული ისტორიული ურთიერთობის დადებით ტენდენციებს უწყობდა ხელს. ქალბატონი სალომეს მიმართ მაღალი ნდობის დასტურია 500-ზე მეტი მადლობის წერილის ნაკადი ასობით ჟურნალ-გაზეთებში მისი თაყვანისმცემლების მხრივ და შვიდასამდე სამძიმრის ტკივილიანი სტრიქონები მისი ტრაგიკული გარდაცვალების გამო.

ფაქიზი სულის, მოსიყვარულე დედის არყოლის სიცარიელეს ვერაფერი აუნაზღაურებს მის საყვარელ ქალიშვილებს – ალექსანდრას და ანას, ან კიდევ როგორ უნდა ანუგეშო მისი მეუღლე, მშობლები. მათი გულისტკივილი გაუსაძლისია, ნუგეში ვერ გვითქვამს.

ქალბატონი სალომე თავისი ღვთაებრივი, ულამაზესი ცხოვრების წესით უფრო ზეციური არსება იყო, ვიდრე მიწიერი, ღმერთები ყველაზე საუკეთესოს არჩევენ მარადიული უკვდავებისათვის, მაგრამ ეს ჩვენთვის ვერაფერი ნუგეშია მიწიერთათვის, შვილებისა და მშობლებისათვის.

სალომე, შენი ლექსი დედისადმი რომანტიკული, სევდანარევია და მასში იკითხება საკუთარი ბედის ტრაგიკული გარდაუვალობა, მაგრამ ახლა რაღა დროსია: „შენი სიცოცხლე ქარიშხალს გავდა, მეხის გავარდნას გავდა სიკვდილი“.

გვზარავს იმის გახსენებაც, რომ შენი დაბადების მეორე დღეს (5 ივლისს 29 წელი უსრულდებოდა) „ორმოცი“ დაემთხვა.

შენნაირები არა კვდებიან, სამარადჟამოდ უნდა იცოცხლო საფლავის ქვაზე ერთი თარიღით, რადგან:

„შენი ცხოვრების დიად თავმდებად,
ერთი თარიღი გარგუნა ბედმა,
რადგან სიკვდილი შენს დაბადებას
გვერდით დადგომას ვერ გაუბედავს!“

ნათელში იყოს შენი უმანკო, ფაქიზი, უკვდავი სული აწ და მარადის, ამინ!

**მშობლების ნათესავ-მეგობრებისაგან: ნოდარ ზარანდია, მოგელ ზუხბაია, ლუბიკო, იურა, გიგლა ქარდავები, ჯუსტან ჯობავა, დავით შენგელია, რაჟდენ ქარდავა**

---



საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და ღვაწლმოსილი პედაგოგი

**როლანდ სარჩიმელია**

და თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

---

**აურწყავი განცდა მაია ლაგურაშვილს**

მოულოდნელი ტრაგედიით თავზარდაცემულს გული ბუდეში ვერ ჩამისვია.

მაიკო – სეფორა! ღვთისა და ერის მსახურო, შესანიშნავო ქალბატონო, ჩემო შვილებისდარად ძვირფასო და საყვარელო ქართველო დედავ, ნუთუ არ კმაროდა ტკივილად ორი ობოლი ვაჟიშვილი ცალუღელში შებმულმა რომ ზარდე, „გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო“. რატომ უმუხთლა ბედმა კეთილს, თანამდგომს, ჩვენი ერის ღირსეულ შვილს 27 წლის ბექას.

ვწუხვარ, რომ მოუშუშებელ ტკივილს ვერაფრით დაგიამებ და განა მარტო შენ? რომელი ერთი ჩამოვთვალო...

**ნანა დარჩიაშვილი**

---

შვილები ნატო და დემურ კეკელიები, რძლები ეთერ ნაჭყებია და მარინე გელანტია, შვილიშვილები ნანა, ვაჟა, ზურაბ, ნინო კეკელიები, თეა და გია მალიშავები, შვილთაშვილები დათო, გიორგი, იულიანა, ანა, თინათინი და ახლო ნათესავები იუწყებიან საყვარელი დედისა და ბებიის, უმშვენიერესი და უკეთილშობილესი ქალბატონის

**ციალა მიხეილის ასულ რუხაია-კეკელიას**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 4, 5 ივლისს, 17 საათიდან, ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №197, II სადარბაზო, III სართული.

გამოსვენება: ხუთშაბათს, 6 ივლისს, 14 საათზე, საბურთალოს პანთეონის ამაღლების ეკლესიიდან.

---

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა თანაუგრძნობს წარმომადგენლობის ხელმძღვანელს, ბატონ დემურ კეკელიას დედის, ქალბატონ

**ციალა რუხაია-კეკელიას**

გარდაცვალების გამო.

---

მურად ანჯაფარიძე ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს დემურ კეკელიას უძვირფასესი დედის

**ციალა მიხეილის ასულ რუხაია-კეკელიას**

გარდაცვალების გამო.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


4 ივლისისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4036

ევრო — 2.7408

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1170

100 რუსული რუბლი — 4.0581

## ამინდის პროგნოზი 4 ივლისისთვის





## 27 ივნისიდან

შიო გვეტაძე

# მონანიება

ქართული დეტექტივი
მე-14 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი





## იუმორი



ცოლი ქმარს ეუბნება:

– მე შენთვის ორი ახალი ამბავი მაქვს: ცუდი და კარგი! რომლით დავიწყო?

– სულ ერთია.

– მე შენგან მივდივარ!

– და ცუდი რომელიღაა?

•••

მთავრობის წევრები საუბრობენ. ერთი მეორეს ეკითხება:

– როდის ითამაშებენ ჩვენები ნორმალურ ფეხბურთს?

– იცი, რა, ფეხბურთი სპორტის ისეთი სახეობაა, რომელშიც უმეტესწილად წარმატებას ღარიბი ოჯახის შვილები აღწევენ. ეს მათთვის ერთგვარ სოციალურ ლიფტს წარმოადგენს. ასე რომ, როგორც ჩანს, ჩვენთან ღარიბი ოჯახების ნაკლებობაა.

– ჰოდა, ჩვენც ავდგეთ და ვიმუშაოთ იმაზე, რომ ჩვენი ფეხბურთის აყვავებისთვის სათანადო პირობები შევქმნათ.

•••

შვილი მამას ეკითხება:

– მამა, მე ნაშვილები ვარ?

– არა, მაგრამ ჯერ იმედს არ ვკარგავთ.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ახლახან დავბრუნდი შვებულებიდან.

– მერე, როგორ დაისვენე?

– როგორ გითხრა... მთელ თვეში სულ ორჯერ იწვიმა: პირველად ათი დღე, მეორედ კი – ოცი.

•••

კაცი ზოომაღაზიაში გამყიდველს ეუბნება:

– ისეთი თუთიყუში მინდა, რომ რაც შეიძლება სწრაფად დაიწყოს ლაპარაკი.

გამყიდველმა ყველაზე ძვირადღირებული თუთიყუში მიჰყიდა. კაცი მეორე დღეს დაბრუნდა და ეუბნება:

– არ ლაპარაკობს.

– ზანზალაკი უყიდეთ!

კაცმა იყიდა. მეორე დღეს ისევ მივიდა და გამყიდველს ეუბნება:

– ისევ არ ლაპარაკობს.

– სარკე უყიდეთ.

კაცმა სარკე იყიდა. ერთი დღის შემდეგ ისევ დაბრუნდა და ეუბნება:

– მაინც არ ლაპარაკობს.

– საქანელა უყიდეთ.

გავიდა ერთი კვირა. გახარებული მივიდა მაღაზიაში და გამყიდველს ეუბნება:

– დაილაპარაკა.

– და რა თქვა?

– როდის მაჭმევ, შე შობელძაღლოო!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## 29 ივნისიდან




ონორე დე ბალზაკი

# ოცდაათი წლის ქალი

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

## 21 ივნისიდან




ილია ილფი
ევგენი პეტროვი

# თორმეტი სკამი

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი


## ნიკოლოზ ბასილაშვილი უიმბლდონის მეორე წრეში გავიდა



ნიკოლოზ ბასილაშვილი უიმბლდონის მეორე წრეში გავიდა. ქართველმა ჩოგბურთელმა სამ სეტში არგენტინელი კარლოს ბერლოკი დაამარცხა.

შედარებით რთული მხოლოდ მეორე სეტი გამოდგა, სადაც ბასილაშვილმა ტაი ბრეიკზე იმძლავრა.

2015 წელს ბასილაშვილი უიმბლდონის მესამე წრეში გავიდა და მას ამის გაკეთების შანსი ისევ აქვს. მეორე წრეში ნიკას მეტოქე ამერიკელი სემ ქუერი იქნება, რომელმაც შარშან უიმბლდონზე ნოვაკ ჯოკოვიჩის დამარცხება შეძლო. ამერიკელი ჩოგბურთელი ბასილაშვილთან შეხვედრაში ფავორიტია, თუმცა შანსი ნიკასაც აქვს.

შეხვედრა ოთხშაბათს გაიმართება.

## ალექსანდრ ლაკაზეტი კარიერას არსენალში გააგრძელებს



ლიონის ფორვარდი ალექსანდრ ლაკაზეტი უკვე თითქმის არსენალის ფეხბურთელია, რადგან ლიონი და არსენალი ტრანსფერზე შეთანხმდნენ და უახლოეს დღეებში ლაკაზეტი ლონდონში ჩაფრინდება, სადაც არსენალთან 4-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

არსენალი ლაკაზეტის ტრანსფერში 53 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადაიხდის, რაც ამ კლუბის ისტორიაში რეკორდული თანხაა. ამდენი ერთ ფეხბურთელში ლონდონელებს არასოდეს გადაუხდიათ.

ლაკაზეტის შეძენა სხვა კლუბებსაც სურდათ, მაგრამ არსენალმა ყველას აჯობა.

ლაკაზეტი ალექსის სანჩესის შემცვლელად მოიაზრება, რომელიც, სავარაუდოდ, არსენალს დატოვებს.

## ჯონ ტერი ასტონ ვილას ფეხბურთელია

ლონდონის ჩელსის ლეგენდა ჯონ ტერი მომავალ სეზონში ბირმინგემის ასტონ ვილას ღირსებას დაიცავს.

ჩელსიდან წასვლის შემდეგ ტერი თავისუფალი აგენტი გახდა და ასტონ ვილას ტერის ტრანსფერში ფული არ გადაუხდია.

თვითონ ტერის ჯერჯერობით ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა უახლოეს დღეებში მას უკვე ელიან ბირმინგემში.

ასტონ ვილა ამჟამად ინგლისის მეორე დივიზიონში თამაშობს და მისი მიზანი პრემიერ ლიგაში დაბრუნებაა.



## პსჟ-ს იუვენტუსის მცველის ყიდვა სურს



ფრანგულმა პსჟ-მ იუვენტუსის ბრაზილიელ მცველს ალექს სანდროს დაადგა თვალი და მის შესაძენად პარიზელები მზად არიან 65 მილიონი ევრო გადაიხადონ.

იუვენტუსს სანდროს გაშვება არ სურს და მას ახალ კონტრაქტს სთავაზობს.

სანდროს შეძენით ასევე დაინტერესებულია ლონდონის ჩელსი, რომელიც 60 მილიონ ევროს იხდის.

თვითონ ფეხბურთელს ჩელსიში სურს თამაში, ამიტომ, სავარაუდოდ, ეს დავა ჩელსის სასარგებლოდ გადაწყდება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. საზღვაო-სავაჭრო ხელშეკრულება; 2. ავსტრალიური სირაქლემა; 3. ქართული გაზეთი; 4. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 5. ქართველი მოფარიკავე ქალი ევროპის ჩემპიონი; 8. სამრეწველო რაიონი გერმანიაში; 9. ცხენოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 10. ბანკში გახსნილი ანგარიში 12. თემის, გვარის წინამძღოლი სვანეთში; 13. უკრაინის დედაქალაქი; 15. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა.

**თარაზულად:** 1. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი; 6. ფარიკაობა ძველად საქართველოში; 7. მოძრავი სცენა თეატრში; 10. პორტატული საფრენი აპარატი; 11. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 13. შოკოლადის ხე; 14. ორსართულიანი ლაზური სახლი; 16. მდინარე თბილისში; 17. ბრიტანეთის ნაწილი; 18. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ფინელი ავტომრბოლელი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

